# სახალხო გაზეთი

№ 612 ხუთშაბათი, 31 მაისი, 1912 წ. № 612

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## ამ ნომერში ექვსი გვერდია.


### იმ ხელის მომწერთ რომელთაც ჯერ არ მიუღიათ პრემია „გრდემლი“

ვსთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გასაგზანი ხარჯი (30 კ.) გამოგზანონ.

### მისამართის გამოცვლა:

ტფილისისა ტფილისს გარეთისაზე ღირს . . . 40 კაპ. შეიძლება
და ქალაქ გარეთისა ქალაქ გარეთისაზევე ღირს მარკებით.
ტფილისს გარეთისა ტფილისისაზე . . . . უფასოდ.
და ეხლანდელი მისამართი ძველ მისამართზე .

ხელის მომწერმა, რომელიც მისამართს იცვლის, უნდა შეგვატყობინოს დაწვრილებითი მისამართი, როგორც ძველი (ქალაქ გარეთელთ შეუძლიანთ გაზეთის ბანდეროლი გამოგზავნონ) ის ეახალი.

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

### სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „გრდემლს“.

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

**თვეში ღირს — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს 1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაში მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა ფოსტის მარკა.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

ქუჩა ივანეს ძე, ნადეჟდა, ქეთო, ერმალოზ ივანეს ძე, ერმონია, ანნა და ივანე ვლადიმერის ძე დეკანოსიძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 28 ამა მაისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფ. ღარი-ხევში, პირველის—ძვირფასი მეუღლე, მეორისა და მესამის—საყვარელი დედა, მეოთხისა, მეხუთისა და მეექვსის ძვირფასი რძალი და უკანასკნელისა დაუვიწყარი ბიცოლა

**მასტრადი იოსების ასული დეკანოსიძისა.**

ცხედრის გამოსვენება და დაკრძალვა სოფ. ღარი-ხევის ეკლესიაში, ხუთშაბათს 31 მაისს. (2.493.2)

---

### ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.<br>ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>მაღლაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.<br>ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო, ქალთა სნეულ. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12.<br>მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.<br>თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვთა სნეულ. | ლამბაშიძე ვ. დ. (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.<br>მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.<br>ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვულ. სნეულ. | გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.<br>დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურის, ყელის | ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2.<br>ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის | მუსხელიშვილი ვ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½. |
| კბილის | მჭარეულიშვილი მ. ი. (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ წამლის შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1020—347)

---

პირველ თიბათვიდან (ივნისიდან) ქ. გორში გამოვა ყოველ დღიური სალიტერატურო სავაჭრო და სამეურნეო სასოფლო გაზეთი

### „ქართლი“

ყოველ კვირეულ სურათებიან დამატებით.

| დამატებით | | უდამატებოდ | |
|---|---|---|---|
| გაზ. წლიურად ეღირება | 5 მ. | „ „ „ | 4 მ. |
| „ ნახევარის წლით | 2 „ 60 კ. | „ „ „ | 2 „ 30 კ. |
| „ სამი თვით . . | 1 „ 50 „ | „ „ „ | 1 „ 20 „ |
| „ ერთი თვით , , | — 55 „ | „ „ „ | — 45 „ |
| ცალკე ნომერი ყველგან | 5 კ. | ცალკე ნომერი ყველგან | 3 კ. |

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 კაპ., უკანასკნელზე—5 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

**შენიშვნა:** ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და უდამატებოდ. შემოდგომიდან კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველდღიური იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ეკალაძე-ცინცაძე

**მისამართი:** ქ. გორში, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს. ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება აგრედვე ივ. კვალიაშვილთან, გორი, ქალაქის აფთიაქი და ივ. ავალიშვილთან, ტფილისი, ქ. შ. წ. კ. გ. საზ. წიგნის მაღაზია. (10—1276—9)

---

### ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ, ყურადღება მიაქციონ ახლად გამოსულ პაპიროსებს

### „ირის“,

25 ცალი 15 კ. დ 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

**„ძმ. სეილანოვები“**

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.52)

---

დაარსებულია 1904 წ. **სანატორიუმი და საზაფხულო სამყოფი** მთის სადგური 1000 ფუტის სიმაღლეზე.

ექიმ ვახტანგ დ. ლამბაშიძისა

### პატარა ცემი

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის, ასაკით 8—15 წლამდე. სეზონი 15 ივნისიდან 31 აგვისტომდე. დაწვრ. ცნობებისთვის მიმართეთ ექ. ვ. ლამბაშიძეს, ქ. ტფილისს.

**მიიღება** დაქანცული და ნაავადმყოფარი, მადა დაკარგული, სისხლ-ნაკლები, ჭაობის ციებით დაავადმყოფებულნი. **არ მიიღება** სიჰლექით დაავადმყოფებულნი. (25.1291.6)

---

### საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ საჟენი 80 კ.-დან.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 307)

---

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ჩოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“-ი.** (წლ.—1018—277)

---

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

---

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ., ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.

**მონხე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ა.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ველლოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან.—ყ. დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. სტიმპერი. სამშ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ. 1234—1 ).

---

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვათა სნეულებიანავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1

---

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—101)

---

### შპალიერი ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.

ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., ტელეფ. № 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც საქარხნო ფასებში იყიდება, თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.1159.20)

---

დოქტორი მედიცინისა

### ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს, ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, ვორონცოვის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 173)

---

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

### მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—23)

---

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

---

**ექიმი** ივ. გომართელი მიიღებს ავადმყოფთ დაბა ბორჯომში პირველ თიბათვიდან—პირველ ენკენისთვემდი. (25.468.8.)

---

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—46)

---

**ექიმი** კბილისა ა. (გ.) ბ. დოლიძე გადავიდა ნაძალადევში (რკ. გზ. ხიდთან ჩერქეზოვის და ხუდადოვის ქუჩის კუთხეში № 145). სწამლობს კბილისა და ღრძილის ავადმყოფობას, აკეთებს პლომბებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს, დილის 8—2 ს—მდე და საღამოს 4—7 ს. (თ.1179.41)

---

**ექიმი** პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება სტლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები) სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.116).

---

**ექიმი** მ. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1147—168).

---

**ექიმი** მ. ვაჩნაძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 7—ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

---

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

---

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.


---

## ტფილისი, 31 მაისი.

**საადგილ-მამულო კომისია თავად-აზნაურთა კრების სამსჯავროს წინაშე.**

29 მაისის სხდომა ძალიან მწვავე იყო. იგი საადგილ-მამულო კომისიის მოხსენებას არჩევდა. დიდი ხანია ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა საადგილ-მამულო კომისიას მტრულის თვალით უცქეროდა, სჩანდა ეს ბანკის კრებებზე, სჩანდა პრესაშიაც. რა თქმა უნდა თავად-აზნაურთა კრებაზე უკმაყოფილებას უფრო მეტად უნდა ეჩინა თავი და მეტი მიხლა-მოხლა გამოეწვია. ასეც მოხდა. ბევრი რამ ითქვა საადგილ-მამულო კომისიის მოქმედების შესახებ, ბევრი პირადი კინკლაობა იყო. ჩვენ გვინდა გვერდი აუქციოთ კამათის იმ მხარეს, რომელსაც არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს. რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, თ-დ მ. ჭავჭავაძის სიტყვებს, საადგილ-მამულო კომისიაში ნათესავებს იღებენ სამსახურში, ან კიდევ ექიმი დ. ჯავახიშვილი თავის მეგობრებს ემხრობაო? რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ბ-ნ პ. გედევანიშვილის მტკიცებას, საადგილ-მამულო კომისიას იმიტომ დავანებე თავი, რომ მ. ვ. მაჩაბელი ანეგდოტებს გვიამბობდა სხდომებზეო? ან კიდევ: რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მ. ვ. მაჩაბლის განცხადებას, პ. გედევანიშვილი საადგილ-მამულო კომისიის სხდომებს მხოლოდ მაშინ ესწრებოდა, როდესაც იმედი ჰქონდა, რომ საქმის წარმოებისთვის ჯილდოს მიიღებდაო? ამნაირ კამათს არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს, იგი მხოლოდ პირადის თავმოყვარეობის შედეგია, პირადს განწყობილებაზეა დამყარებული. ამიტომ ჩვენ თამამად შეგვიძლიან გვერდი აუხვიოთ ასეთს კამათს. ამ პირადი ხასიათის კინკლაობით იმდენად იყვნენ გატაცებულნი ორატორები, რომ თითქმის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ მ. ვ. მაჩაბლის სიტყვის იმ ადგილისთვის, რომლითაც ყველაზე კარგად ხასიათდება საადგილ-მამულო კომისიის მოქმედების ხასიათი.

მ. ვ. მაჩაბელმა რამდენჯერმე ბრძანა, როდესაც თავად-აზნაურობა სხვებისთვისა ზრუნავს, უფლება უნდა ჰქონდეს თავისთვისაც იზრუნოსო: სხარტლად წარმოთქმული ეს სიტყვები თითქოს არავითარ ეჭვს არა ჰბადავს მსმენელში, მაგრამ თუ ჩაუკვირდებით, რა მოსდევს ამნაირ აზრებს ცხოვრებაში, როგორ გამოხატულებას იღებს ასეთი მიმართულება პრაქტიკულ მოქმედების დროს, დარწმუნდებით, რომ კომისია, რომელიც ამნაირის თვალ-საზრისით იმოქმედებდა, უსათუოდ უნდა ასცდენოდა იმ მიზანს, რომელიც სათავეში დაისახა.

საადგილ-მამულო კომისიის დაარსებას წინ უძღოდა ლამაზი სიტყვები იმის შესახებ, რომ საჭიროა ჩვენი მიწა-წყალი ადგილობრივ მკვიდრთ შერჩეს ხელში. ეს იყო **უმთავრესი** მიზანი საადგილ-მამულო კომისიისა, და მხოლოდ ამით მოიპოვა პირველ ხანებში ნდობა საზოგადოების ფართო წრეებში. რას ვხედავთ ამის შემდეგ? ამას გაიგებთ მაშინ, როდესაც კრიტიკულ თვალით შეხედავთ იმ ფაქტს, რომ საადგილ-მამულო კომისიამ 16 ათასი მანეთი მისცა გორის მემამულეთა სინდიკატს მამულის საყიდლად. საადგილ-მამულო კომისიას უნდა ეკისრა შუამავლობა მამულის პატრონსა და მამულის მყიდველს შორის. საადგილ-მამულო კომისიის დანიშნულება სწორედ ამ შუამავლობაში უნდა გამოხატულიყო. ნამდვილად კი ეს როლი შუამავლობისა მან გადაულოცა გორის სინდიკატს, რომელმაც, საადგილ-მამულო კომისიიდან აღებულ ფულით მამულის პატრონისაგან შეიძინა მიწები და მერე გლეხებს მიჰყიდა. არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ გორის სინდიკატმა გაცილებით უკეთეს ფასებში გაჰყიდა მიწები. ეს საკითხი უკვე აღძრულია ჩვენს გაზეთში და, იმედია, მალე კიდეც დაუმტკიცებთ გორის სინდიკატის მესვეურებს, რომ აქ ნამდვილი, წინასწარ განზრახული სპეკულიაცია იყო. მაგრამ ეს რომ ასეც არა ყოფილიყო მაინც გაუგებარია, რად გადაულოცა საადგილ-მამულო კომისიამ თავისი როლი შუამავლისა გორის სინდიკატს? თუ ფული ჰქონდა, მას შეეძლო პირდაპირ მყიდველებთან

დაეჭირა საქმე, მაგრამ საადგილ-მამულო კომისიამ ეს არ მოისურვა. რატომ? ამას აგვიხსნის მ. ვ. მაჩაბელის სიტყვა, რომელიც დიდის რიხით წარმოითქვა 29 მაისის სხდომაზე. ამ სიტყვიდან, როგორც ზევითაცა ვსთქვით, ნათლადა სჩანს, რომ საადგილ-მამულო კომისია მემამულეთა სარგებლობითაც ყოფილა დაინტერესებული. ზემოხსენებულმა კომბინაციამ მამულის ფასები ასწია, და მემამულის ინტერესებიც ხომ ამაში გამოიხატება. მ. ვ. მაჩაბელი არცა მალავს ამას, მაგრამ განა ყველაფერი, რაც გულ-ახდილად არის ნათქვამი, მოსაწონია?

რამდენადაც მეტად შეემჩნევა საადგილ-მამულო კომისიას ამ გვარი ტენდენცია, იმდენად მეტად დაჰკარგავს ნდობას საზოგადოებაშ. ეს კარგად უნდა ახსოვდეს მას, თუ ჰსურს ნაყოფიერი მუშაობა და თუ საზოგადოების აზრს ყურადღებას აქცევს.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **კავკასიის ნამესტნიკი** გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი წელს 75 წლისა შესრულდა. ამის გამო ტფილისიდან მას მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს. ქალაქის გამგეობამ და ვაჭართა საზოგადოების თავმჯდომარემ ნამესტნიკისაგან სამადლობელო დეპეშები მიიღეს.

◆ **შემოსავალი სეირნობისა,** რომელიც 27 მაისს ახალ კლუბის ბაღში გაიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ, იყო 1.800 მან., ხარჯი იყო 200 მანეთი. წმინდა მოგება დარჩა 1,600 მანეთი. კლუბმა საზოგადოებას ყველაფერი მუქთად დაუთმო.

◆ **„ვეფხის ტყაოსანი“ უნგრულ ენაზე.** როგორც „ტიფ. ლისტ“. გადმოგვცემს, შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანს“ ნემეცურიდან უნგრულ ენაზე სთარგმნის ავსტრია-უნგრეთის პარლამენტისა და ბუდაპეშტის სამეცნიერო აკადემიის წევრი ბელ ფონვიკარი.

◆ **კავკასიის უნივერსიტეტის** საკითხი, გაზეთების სიტყვით, მოსკოვის დღესასწაულზე გადასწყდება, სადაც ნამესტნიკი პირადად შეხვდება ხელმწიფე იმპერატორს.

◆ ძმოსანმა **გელამ** სთარგმნა ქართულად ახალი 5 მოქმედებიანი პიესა „**კოტრები**“. ეს პიესა მალე წიგნად გამოვა.

◆ **წვრილ კრედიტის** სამმართველოს სოფელ მეტეხის (გორის მაზრა) მცხოვრებნი წვრილ კრედიტის ამხანაგობის დაარსების ნებართვას სთხოვენ.

◆ **პურის ნიხრი.** ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ დაადგინა, ყოველ ხარისხის პურს დააკლოს ფასი. გირვანქას კაპეიკის მეოთხედი უნდა დააკლდეს. ამასთანავე დაადგინა, სთხოვოს გამგეობას, დაავალოს მეპურეებს, რომ მეოთხედ კაპეიკიანები ყოველთვის იქონიონ.

◆ **ხორცის ნიხრი.** ქალაქის სამეურნეო კომისიამ გუშინ წინ საცდელად საქონელი დაჰკლა და დარწმუნდა, რომ ყასბები ამ ჟამად არა ზარალობენ: ფუთ ხორცზე აბაზს იგებენ. ამიტომ დაადგინა, ძველი ნიხრი კვლავ დასტოვოს. ძროხის ხორცი, როგორც ვწერდით, 14 კაპ. ღირს.

◆ **ცეცხლი** გაუჩნდა 29 მაისს ნატალია ზურაბის ასულ შილაქაძის სახლს (კურგანნი ქუჩაზე), სადაც ამ ჟამად არავინ სცხოვრობს. ზარალი 300 მანეთამდეა. სახლი დაზღვეულია „იაკორ“-ის დამზღვევ საზოგადოებაში.

◆ **მდაბიო მოქალაქ. რწმუნებულთა** ერთმა ჯგუფმა გუშინ გუბერნატ. განცხადება წარუდგინა, რომელშიაც აღნიშნავს უკანასკნელ კრებაზე ობოლთა სასამართლოს წევრთა არჩევნების დროს საარჩევნო წესები იქმნა დარღვეულიო და სთხოვს, ეს არჩევნები გააუქმოს.

◆ **ექსკურსიები.** ზაფხულში ტფილისს ეწვევიან ექსკურსიები: ციურიხის პოლიტეხნიკუმისა, მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებისა და ურაზოვის საეროზო რეალურ სასწავლებლის მოსწავლეებისა.

◆ **მუშების შეკრება.** პოლიციის ცნობა გადმოგვცემს: „26 მაისს, „გრ. გრ. ადელხანოვის“ ფეხსაცმელების ქარხნის ახლოს, ვორონცოვის ქუჩაზე, ამავ ქარხნის მუშები შეიკრიბნენ და განაცხადეს, ყოველს ორ შაბათში ერთხელ ჯამაგირს ვიღებთ ხოლმე, მაგრამ დღეს ჯამაგირების მოცემაზე უარი გვითხრესო; დირექციამ გვთხოვა, რომ 3 ივნისამდე დაგვეცადა, რადგანაც ქარხნის კასაში ამ ჟამად ფული არ არისო. ზოგიერთმა მუშამ დაუმატა ასეთი ამბები ხშირად ხდება, რის გამოც მუშები ხშირად სამუშაოდ დროზე არ მიდიან ხოლმეო. ქარხნის გამგემ ვიქტორ ნიკოლოზის ძე რიბინსკიმ მუშების ნათქვამი დაადასტურა და დაუმატა, დირექციამ მართლაც ფულის დაცდა მოითხოვა მხოლოდ 3 ივნისამდე კი არა, არამედ 30 მაისამდეო. მუშები პატარა ხანს იდგნენ ერთს ადგილას და შემდეგ მშვიდობიანად დაიშალნენ“.

◆ ნება დართეს, **კავკასიის სცენებზე წარმოადგინონ** „არწივი“ 5 მოქმედ. პიესა ფ. ჯაფარიძისა.

◆ **გაზეთის დაჯარიმება.** გუბერნატორმა ათის თუმნით დააჯარიმა „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ის რედაქტორი 29 მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილისათვის, რომლის სათაურიც ასეთია: „ამომრჩევლებისადმი“. რედაქტორმა ჯარიმა უკვე გადაიხადა.

◆ **საქალაქო სესხი.** ნამესტნიკის საბჭომ დაადგინა, სოხუმს ნება დართოს, 53,500 მან. სესხი აიღოს.

◆ 29 მაისს ტფილისში 17 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ 29 მაისს, შუადღისას, რკინის გზის გადაღმა, მირზოევისეულ მამულში, მიწის გაყოფის დროს ჩხუბი მოუვიდათ დუშეთის მაზრის სოფელ დიდი თიანეთის მცხოვრებს ალექსანდრე თომას ძე გობაძესა და ალექსანდროპოლის მაზრის სოფელ პატარა კარაკლისის მცხოვრებს ავეტის შამირჴს ძე შახმურადოვს. ჩხუბის დროს უკანასკნელმა გობაძე კალმის დანით მხარში დასჭრა. გობაძემ თავის მხრივ შახმურადოვს ჯოხით თავი გაუტეხა.

## სასწავლებლებში

◆ ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტი წელს ოთხს ქართველს ქალს გაუთავებია: ე. აბულაძეს, ლ. ასათიანს, თ. ბადაშვილს და თამ. ჩერქეზიშვილს.

## სასამართლო.

◆ **ორის მოსწავლის გატაცების საქმე.** 1911 წლის 18 ივნისს ცხინვალიდან გაიტაცეს ორი მოსწავლე საკომერციო სასწავლებლისა: ვასილ ყულიჯანოვი და ალექსანდრე მელქუევი, რომლებიც განთავისუფლებულ იქმნენ 29 სექტემბერს. გამტაცებლები ვერ შეიპყრეს. შეიპყრეს მხოლოდ 12 გარეშე პირი, რომელთაც ყაჩაღთათვის მოსწავლეთა გატაცებაში ხელის შეწყობა ბრალდებათ. ამ თორმეტის კაცის გასამართლებას კავკასიის სამხედრო სასამართლო 29 მაისს შეუდგა. მათი გვარები: მიხეილ კობალაძე, გაბრიელ ავალიშვილი, მიხეილ და ვასილ ზოზიაშვილები, ალექსანდრე ჯანიევი, პეტრე ესიაშვილი, გიორგი მაისურაძე, ალექსანდრე სტინაშვილი ილია ზანგალაშვილი, ისაკ მინდიაშვილი, ვასილ საძაგლიშვილი და ზურაბ თვალიშვილი. სასამართლოს განაჩენს თავის დროზე ვაცნობებთ მკითხველთ.

◆ **თავ. დავ. გიორ. ბაგრატიონ მუხრანსკისა და სხვათა საქმე,** რომელთაც გორის მაზრაში სხვის მამულის გაყიდვა ედებათ ბრალად გუშინდლისთვის იყო დანიშნული ტფ. ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებაში. მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო საქმის გარჩევა სხვა დროისთვის გადაიდო.

## სომეხთა ცხოვრება

◆ ნერსესიან სემინარიაში მასწავლებელ ა. შამშინიანის ხელმძღვანელობით გაიხსნა სემინარიის მოწაფეთა ნახატების გამოფენა.

◆ „მშაკის“ ფონდის სასარგებლოდ დღემდე მოგროვდა 25,000 მანათი.

## მცხეთა

◆ 24 მაისს სამთავისის მონასტერში გადახდილ იქმნა პარაკლისი მხცოვან პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის განსაკურნებლად.

## ქუთაისი.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი სხდომა, რომელიც 28 მაისს უნდა მომხდარიყო, 31 მაისისთვის გადაიდო.

◆ ბ. გუბერნატორი თხოვნით მიმართავს ქალაქის მოურავს დახმარება აღმოუჩინოს მას ქუთაისის გუბერნიაში ტყვეობიდან განთავისუფლებულ პირთათვის მზრუნველ საზოგადოების დაარსებაში. ამ საზოგადოების უთამვრესი მიზანია: ა) ტყვეობიდან განთავისუფლებულ პირთ დახმარება აღმოუჩინოს თავისი მდგომარეობის მოსაწყობად, რომ დაუბრუნოს ისინი პატიოსან ცხოვრებას, ბ) დახმარება აღმოუჩინოს დატყვევებულთა და გადასახლებულ პირთა ღარიბ ოჯახობას და სხ. საზოგადოების წლიური საწევრო ფული სამი მანეთია. საზოგადოების მიზანი სიმპატიურია და სასურველია, რომ მისი საქმე რიგიანად მოეწყოს.

◆ 31 მაისს ქალაქის საბჭო განიხილავს საკითხს შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა იდღესასწაულოს ქალაქმა **რომანოვების** სახლის მეფობის 300 წლის თავი. ეს დღესასწაული მოხდება მომავალ 1913 წლის 21 თებერვალს.

◆ სახალხო სკოლების ინსპექტორმა, დაათვალიერა შუქრუთის პირველ დაწყებითი სკოლა და დიდად მოიწონა სკოლაში დაყენებული სწავლის საქმე.

◆ უკანასკნელ სხდომაზე შავიქვის მრეწველთა საბჭომ გადასწყვიტა აცნობოს მთავრობას, რომ საბჭომ იზარალა დარდანელის დაკეტვის გამო 50,000 მანეთამდე, მრეწველებმა კი 300,000 მანეთამდე; გამზიდველების ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

◆ 28 მაისს საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებაზე დადგენილ იქნა: ა) დიდიმ ჩიკვაიძეს დაენიშნოს პენსია ბანკის საშუალებიდან არა როგორც დამფასებლად ნამყოფს, არამედ როგორც ნაბუხგალტრის თანაშემწეს ე. ი. ნაცვლად 900 მანეთისა 588 მანეთი წლიურად (72 ხმის უმეტესობით 44 წინააღმდეგ); ბ) მოხდეს ბანკის საიურისკონსულტო ნაწილის რეორგანიზაცია, ე. ი. ბანკის იურისტკონსულტად უნდა მოწვეულ იქნეს გამოცდილი ნაფიცი ვექილი და არა კერძო ვექილი, თანახმად გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის მოხსენებისა (72 ხმის უმეტესობით 45 წინააღმდეგ; გ) უარყოფილ იქმნეს გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის წინადადება სოხუმში აგენტ-დამფასებლის დანიშვნის შესახებ (60 ხმის უმეტესობით 57 ხმის წინააღმდეგ); დ) მიენდოს კრების თავმჯდომარეს შემდეგი შინაარსის სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნოს გარდაცვალებულის ვინმე მესხი-გვარამაძის ოჯახობას: „საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა გარდაცვალებულის ღრმად პატივცემულ ვინმე მესხი-გვარამაძის ხსოვნას და მომანდო გამოგიცხადოთ ღრმა მწუხარება გულწრფელ მუშაკის დაკარგვის გამო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მტლად დაუდვა ძვირფას სამშობლოს კულტურულ წარმატებას“. ამასთანავე დადგენილ იქნა მიენდოს ზედამხედველ კომიტეტს განსვენებულის კუბოს გვირგვინით შემკობის ნაცვლად ფული გაუგზავნოს ახალციხის ქართულ წიგნთსაცავ-სამკითხველოს, რომლის დაარსებაში განსვენებულს დიდი ღვაწლი მიუძღოდა.

◆ 1 ივნისს **ტფილისის სასამართლო პალატის** სესია გაარჩევს თ. ჭოჭია ჩიქოვანის და მისი მეუღლის საქეს, რომელთაც ბრალად ედებათ სვიმონ მამარდაშვილის მკვლელობაში მონაწილეობის მიიღება. ბრალდებულთ იცავს ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ. შ. მესხიშვილი.

◆ შუა მაისიდან, როდესაც დარდანელი გაიხსნა **ჭიათურაში** დიდი მუშაობა დატრიალდა, დღეში 300-400 ვაგონი მარგანეცი გადის ჭიათურიდან.

გასულ თვეებში მიღებულ იქმნა წესდება მზრუნველთა **სამარხი კასისა.** შავიქვის საბჭოში მრეწველებს შეძლება ეძლევათ ჩაეწერონ კასის წევრებად.

◆ მდ. ყვირილის გაწმენდის თაობაზე გამოცხადებული იყო კონკურსი საუკეთესო პროექტისათვის. დანიშნული იყო ორასი თუმანი. ჯერჯერობით ოცმა პირმა განაცხადა სურვილი მონაწილეობის მიღებისა ამ კონკურსში.

◆ მეჩხერის მექანიკურ ჩამოსაშვების კეთება თითქმის დამთავრებულია და ამ თვეში კიდევაც დაიწყებს მოქმედებას.

◆ **„ჩვენი ცხოვრების“** რედაქცია აცხადებს, რომ 1 ივნისისთვის გაზეთი ვერ გამოვა სხვა და სხვა მიზეზების გამო. გამოსვლის დღე ცალკე იქნება გაზეთებში გამოცხადებული ამ მოკლე ხანში. („კოლხიდა“).

# ტფ. გუბერნიის თავ.-აზნაურთა კრება

**29 მაისი.**

სხდომა დაიწყო 7 საათზე.

კითხულობენ საადგილ - მამულო კომისიის 1911 წლ. მოქმედების ანგარიშს.

**ე. მაჩაბელი.** იწყებს საადგ.-მამ. კომისიის 1907 წლის მოქმედების განხილვას. ეხება საადგ.-მამ. კომისიის დაარსების ისტორიას—ამ კომისიამ გამოარკვია მიზეზები ჩვენებური მიწის დამუშავების უვარგისობისა. 1908 წლის ანგარიში ცოტათი წრევანდელს ჰგავს—აქ ჩამოთვლილია თუ რომელი წევრი რამდენჯერ დაესწრო კომისიის სხდომასო. ვისთვისაა ამის ჩამოთვლა საჭირო? მე მესმის, რომ კომისიას ეთქვა გლეხებისათვის: აი თქვენ ცოტა მიწა გაქვთ, მოდით, იოლად შეგაძენინებთო. ამ გვარად სწარმოებს მუშაობა 1912 წლამდე და ანგარიშის სიდიდისათვის სხვა და სხვა ინსტრუქციებიდან ამოუღიათ ადგილები და მოუთავსებიათ შიგ.

გორის მაზრ. მემამულეთა ამხანაგობისათვის მიუციათ 16,000 მან. მე ბევრი ვიკითხე, თუ როგორია ეს ამხანაგობა, რაა მისი მიზანი, ეხმარება იგი თუ არა გლეხთა მეურნეობას ხელმძღვანელობის მხრით, მაგრამ ვერა გავიგე-რა.

**ნ. თუმანიშვილი.** გორის მაზრაში, ბრილში იყიდებოდა დიასამიძეების დიდი მამული და რადგან არ გვინდოდა სხვის ხელში გადასულიყო, ამიტომ ჩვენ დავეხმარეთ გორის სინდიკატს 16.000 მ. ახლა გორის მაზრ. გლეხებს შეუძლიანთ შეიძინონ ეს მამული ნაწილ-ნაწილ. ფულიც თავად-აზნაურობას უსათუოდ დაუბრუნდება.

**ე. მაჩაბელი** განაგრძობს. მას ვერ აკმაყოფილებს ნ. თუმანიშვილის განმარტება იმის შესახებ, რომ სინდიკატზე გაცემული ფული დაბრუნდება. საადგილ. მამ. კომისიის ანგარიშში აღნუსხულია, რომ ამდენი და ამდენი ადგილი შეიძინა გლეხობამო და ის კი არაა აღნიშნული თუ რამდენი მიწა დაჰკარგა მან სოფლის მევახშეთა წყალობით. აი სწორედ ამას ექნებოდა ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა, რადგან იგი მოგვცემდა სახელმძღვანელო ძაფს ხელში მომავალი მოქმედების შესახებ. ამას გარდა კომისია სრულიად არ ეხება ჩარჩობის მოსპობის საკითხს, რომელიც სულს უხუთავს ჩვენებურ სოფელს.

მეხილე ხეთაგურისათვის, იმ ხეთაგურისთვის, რომელსაც მეხილეობის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, მიუციათ სესხად 3.000 მ. 4%, ხოლო საქსოვი ქარხნებისათვის კი სრულიად უსარგებლოდ და დაუბრუნებლად. დასასრულ იგი დაასკვნის: საადგ. მამ. კომისიას არ აქვს ერთი განსაზღვრული გეგმა სამოქმედოდ, რომ მან შეაერთოს მთელი მისი მუშაობა უმიწაწყლო გლეხობის სასარგებლოდ.

**ნ. აბაშიძე.** მე მგონია, საადგილ-მამულო კომისიის დაარსების მიზანი იყო უმამულო გლეხობის დახმარება.

**თავჯდომარე** აწყვეტინებს: მე მოგახსენებთ, თუ რისთვის იყო იგი დაარსებული, რომ შემდეგმა ორატორებმა არ სთქვან, კომისიამ გადაუხვია თავის მნიშვნელობასო...

**ნ. აბაშიძე** განაგრძობს. თავჯდომარე კვლავ აწყვეტინებს და კითხულობს კომისიის წესდებას.

წესდების წაკითხვის შემდეგ ბ-ნი ნ. აბაშიძე ეხება სინდიკატის მიერ მამულის ყიდვას და ამ საქმეს გეშეფტობას უწოდებს.

თავჯდომარე აჩერებს მას.

**ნ. აბაშიძე:** ანგარიშში ნათქვამია, მელაანში გაიყიდა მხოლოდ 9 დეს. მიწაო, მაშინ, როცა 9 კი არა 400 დეს. გაიყიდა და ჩაუვარდა ხელში უცხოელებს. **ალ. ყიფშიძე** იძლევა განმარტებას მელაანის მამულების შესახებ.

**ნ. აბაშიძე** არ კმაყოფილდება მისი განმარტებით და მოითხოვს პასუხს. იგი ცხარობს, დარბაზში მოძრაობაა. თავჯდომარე სიტყვას ართმევს მას. თავმჯდომარე ღელავს.

**ე. მაჩაბელი** კვლავ თხოულობს სიტყვას. **თავმჯდომარე** ეუბნება, თქვენ მთელი ორი საათი ილაპარაკეთ, ახლა კი სხვებსაც აცალეთო.

**ე. მაჩაბელი** დაჟინებით თხოულობს სიტყვას. თავჯდომარე ნებას არ აძლევს. დარბაზში დიდი ხმაურობაა. თავჯდომარე სხდომას ხუთი წუთით სწყვეტს.

კრების განახლებისას **ნ. ერისთავი** თხოულობს ორატორების სიტყვის დროით განსაზღვრას.

**თავმჯდომარე** აცხადებს, დაიცვას კრებამ წესიერება, რადგან უამისოდ სხდომების ხელმძღვანელობა შეუძლებელიაო.

**იური ჭავჭავაძე** სთხოვს თავჯდომარეს მიიღოს კანონიერი ზომები იმ ორატორების წინააღმდეგ, რომლებიც ზრდილობის ფარგალს გასცილდებიან.

**ლ. მაღალაშვილი:** უკანონოა ისეთი მუშაობა, როგორიცაა დღეს საად. მამ. კომისიაში—სამი წევრი სწყვეტს ყველა საქმეს, დანარჩენებმა კი არ იციან, რა კეთდება იქა.

**ალ. ყიფშიძე** კვლავ იძლევა განმარტებას, რომ ანდრონიკაშვილების მამულების შეძენას ხელი შეუშალა იურიდიული ხასიათის მიზეზებმა და აგრედვე კომისიის ხელმოკლეობამ. კრება არ კმაყოფილდება მისი განმარტებით და თხოულობს კომისიის სხდომის ოქმებს წასაკითხად.

**ექ. მუსხელიშვილის** აზრით კომისიას არა გაუკეთებია რა, გარდა შუამავლობისა მყიდველ-გამყიდველთა შორის. მაშინ, როცა გორის სინდიკატს 16.000 მ. მიეცა, გლეხებსა და მათ საზოგადოებას მხოლოდ რამდენიმე ასი. ეს ტიპიური მოვლენაა კომისიის მოქმედებისა.

**შ. მესხიშვილი** (ქართულად): როდესაც ჩვენ ვიხილავთ კომისიის მოქმედებას და ვამბობთ, მას მეტი რამე უნდა გაეკეთებინაო, ნუ დავივიწყებთ იმასაც, რაც მან გააკეთა, და გააკეთა კი დიდი საქმე იმ მცირე თანხით, რომელიც მას ჰქონდა. 6 წლის განმავლობაში 35,000 დეს. მიწა შეუნარჩუნა ჩვენს ერს. ჩამოაშორეთ ეს კომისია დეპ. საკრებულოს გავლენას, გაუხსენით მას ხელფეხი სამოქმედოდ, მიეცით მეტი თანხა და თქვენ ნახავთ, რომ იგი მეტს გააკეთებს. კომისიის მუშაობას ხელს უშლის აგრედვე ის გარემოება, რომ მან იკისრა ის ფუნქციები, რომელიც ქართ. სამეურნეო საზოგადოების საქმეა. სანამ ამ კომისიას არ ჩამოვაცლით ხორცმეტს, მანამდის იგი ვერაფერს ვერ გააკეთებს. იგი იძლევა წინადადებას: 1) ყველა ის თანხა, რომელიც მის ხელში გადავა, მოხმარდეს მის პირდაპირ მიზანს, 2) შემოკლდეს მისი შტატი და 3) განთავისუფლდეს იგი დეპ საკრებულოს გავლენისაგან.

**დ. ჯავახიშვილი:** უპასუხებს მაჩაბელს. ჯავახიშვილს მრავალჯერ სიტყვას აწყვეტინებენ.

**დ. ჯორჯაძე:** არ ეთანხმება მესხიშვილის აზრს. საად. მამ. კომისიის დანიშნულების შესახებ, რომ იგი მხოლოდ მყიდველი და გამყიდველი უნდა იყოს ბაზარზე გატანილი მამულებისაო. გორის სინდიკატის მიერ ბრილის მამულების შეძენის შესახებ ამბობს, რომ მან ეს მიწები სპეკულიაციის მიზნით იყიდა, რაც უკვე იყო აღნიშნული გაზეთებში და თქვენც ამ შეუფერებელი მიზნისთვის მიეცით მას 16.000. მანეთიო.

**ნ. თუმანიშვილი:** პროტესტს, აცხადებს დ. ჯორჯაძის სიტყვის შესახებ, რომ გორის სინდიკატი სპეკულიატორი არისო.

დარბაზში ხმაურობაა. გ. დიასამიძე თხოულობს სიტყვას კრების დახაშომშინებლად. თავჯდომარე ნებას არ აძლევს,

**მ. მაჩაბელი:** დიდხანს ლაპარაკობს და იცავს, საადგ. მამ. კომისიის პოზიციას რაც მან გააკეთა, მეტის გაკეთება არ შეიძლებოდაო. სიტყვის დროს ბევრჯერ აწყვეტინებენ მას. დ. ჯორჯაძე მოითხოვს თავჯდომარისაგან, რომ მან შეაჩეროს ორატორი, რადგანაც იგი პროვოკაციას ეწევა კრებაზეო. დარბაზში საშინელი ხმაურობაა. თავჯდომარე ვერ ახერხებს მყუდროების ჩამოგდებას.

**იური ქავჭავაძე:** უპასუხებს მ. მაჩაბელს და ამბობს, კომისია უნდა ეცადოს, რათა მამულები მკვიდრთა ხელში გადავიდეს, რადგან ტყუილია მაჩაბლის თქმა, თითქოს ქართველ გლეხს შრომა არ უყვარსო.

**გ. დიასამიძე:** მწუხარებას აცხადებს, რომ საზოგადო კრებაზე პირადი საკითხის შესახებ უხდება ლაპარაკი. იგი უპასუხებს მ. მაჩაბელს იმის შესახებ, თითქოს მას, დიასამიძეს, მოეთხოვოს დახმარება გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოსასვლელად, იგი ამბობს, რომ მართალია ჩემი ძმების მამული იყიდებოდა საჯაროდ, მაგრამ ჩვენ ვცდილობდით, რომ ეს მამული შესაფერი დაწესებულების ხელში გადასულიყო. რადგან იგი დიდად ძვირფასი იყოო. შემდეგ განაგრძობს ქართულად: გასაკვირველი არაა, რომ თავად-აზნ. თავის ინტერესებზე იზრუნოს, მაგრამ, როცა ისეთი პირები ზრუნვენ ამაზე, რომელთაც არა სწამთ წოდებრიობა, ეს კი უცნაურია. (მას აწყვეტინებენ) შემდეგ ასტყდება ხმაურობა. ორატორის აზრით, კომისიის მიზანი მხოლოდ შუამავლობაა თავად-აზნ. და გლეხობის შორის მიწების შესყიდვის საქმეში, რაც შეეხება სამეურნეო ფუნქციებს, ეს მისი საქმე არაა, ამისთვის მშვენიერი დაწესებულება გვაქვს ქართ. სამ. საზოგადოება.

**შ. ამირაჯიბი:** უპასუხებს მ. მაჩაბელსა და გ. დიასამიძეს და წინააღმდეგია, რომ კომისიას ჩამოერთვას ის ფუნქციები, რომლებიც მას დღეს აქვს.

**ექიმი მუსხელიშვილი** ამბ[illegible] რომ მისი აზრი ცუდად გაიგეს—თუ მე ვამბობდი, [illegible] უმუშავნია, როგორც მისგან მოველოდით, [illegible], თითქოს მე პრინციპიალურად წინააღმდეგი ვიყო საად.-მამულო კომისიის არსებობისა. საჭიროა კომისია განთავისუფლდეს დეპ. საკრებულოს გავლენისაგან და თავის პირდაპირ მიზანს ემსახუროს. შემდეგ უპასუხებს მ. მაჩაბელს და ამბობს, რომ „ჩვენ სრულიად წინააღმდეგი არა ვართ იმისა, რომ თქვენ (მიმართავს წინამძღოლებს) გლეხობას დაუახლოვდეთ, მაგრამ ეს არაოდეს არ მოხდება, რადგან თქვენ მარჯვნით მიიწევთ და არ შეგიძლიათ მარცხნივ გადახრა“.

**პ. გედევანიშვილი** უპასუხებს მ. მაჩაბელს, თუ რატომ მიატოვა მან, გედევანიშვილმა, საად.-მამ. კომისიის წევრობა. იქ არაფერი კეთდებოდა, გარდა იმისა, რომ შეიკრიბებოდნენ წევრნი და თავმჯდომარის, მ. მაჩაბლის, კურთხევით მოჰყვებოდნენ ხოლმე ანეგდოტებს და ამით ათავებდნენ სხდომებსო, მე კი ასეთ კომისიაში ვერ დავრჩებოდი და კიდეც გავედიო.

შემდეგ ლაპარაკობენ **ლ. მაღალაშვილი და ნ. ერისთავი,** რომელთა სიტყვის დროს ასტყდება დიდი ხმაურობა, მრავალი პირი თხოულობს სიტყვას.

**მ. მაჩაბელი:** უპასუხებს გედევანიშვილს, რომ სიცრუეა, თითქოს კომისიის სხდომაზე მასლაათში ვატარებდით დროსაო. თუ ვისმე მიხეილ მაჩაბელი უშლიდა მუშაობას, ეხლა ხომ წავიდა იგიო. (ხმები, როდის წავიდა?) ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ჩემსა და მათ შორის პრინციპიალური წინააღმდეგობა ყოფილიყო. (ხმები: სიცრუეა) ასტყდება ხმაურობა და მოლაპარაკეთა შორის კინკლაობა. **მ. ჭავჭავაძე:** მე ვიყავი პრინციპიალური მოწინააღმდეგე და პროტესტსაც ვაცხადებდი მ. მაჩაბლის წინააღმდეგ.

კვლავ დიდი ხმაურობაა. მ. მაჩაბელი განაგრძობს სიტყვას. აწყვეტინებენ.

**მ. მაჩაბელი** ამბობს რომ მართალია იყო აზრთა წინააღმდეგობა ახალგაზდათა მოწვევის შესახებ კომისიაში სამუშაოდ, მაგრამ განა ეს გასაკვირველია? სად არაა, რომელ დაწესებულებაში არაა აზრთა სხვა და სხვაობა? გამოდის, რომ საადგ. მამ. კომისია კარგია, ყველა წევრები კარგები ყოფილან, მხოლოდ ერთი მე ვყოფილვარ ცუდი და უვარგისი; ბატონებო, (ხმაურობა) მე ვცნობ ჩემს თავს უვარგისად და აღარ მოგასვენებთ!

**ი. ბარათაშვილი:** რომ კომისია ისე ვერ მუშაობდა, როგორც რიგი იყო, ეს იქიდან სჩანს, რომ ყველა წევრები გაექცნენ მას. მაშასადამე არ იყო შინაგანი ერთსულოვანება წევრთა შორის და ეს უშლიდა სწორედ ხელს მის მოღვაწეობას. მართალია კომისიას უმუშავნია, მაგრამ ჩვენ გეუბნებით, რომ ეს ნაშრომი არ კმარა, იგი ძლიერ ცოტაა.

შემდეგ ლაპარაკობენ პირადი საკითხის შესახებ. პ. გედევანიშვილი, რომლის სიტყვის დროს ასტყდება ხმაურობა, მ. მაჩაბელი ადგილიდან იძახის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს და უშლის ორატორს.

**ხმები:** საკითხი გამორკვეულია.

თავმჯდომარე იძლევა განმარტებას იმის შესახებ, თუ როგორს დამოკიდებულებაში იყო დეპ. საკრებულო საად. მამ. კომისიასთან.

თავმჯდომარე გადასაწყვეტად აყენებს საკითხს: ამტკიცებს თუ არა კრება საად. მამ. კომისიის მოქმედების ანგარიშს. რამდენიმე პირი მოითხოვს კრების გადადებას, რადგან უმეტესობა წავიდა სხდომიდან.

სხდომა დაიხურა 12 საათზე და კრება მეორე დღისათვისთვის გადაიდო.

# საგულისხმო ლექცია და კონცერტი

(დასასრული)

ისტორიას არ ახსოვს ისეთი ხანა ადამიანის არსებობისა, როდესაც მუსიკას არ სჭეროდეს ესა თუ ის ადგილი. აღსანიშნავია ირანნე შეიბეს ნათქვამი: „მუსიკა ჯერ კიდევ სამოთხეში იხმარებოდაო“.

ქართული ხალხური სიმღერები წარმოადგენს ჩვენი ხალხის იდეალურ ჰიმნს, რომელშიაც ნათლად იხატება მთელი წარსულის შინაარსი შეულახველად; იმათშივეა წარმოდგენილი შეხედულებანი მომავალზე იმ უმანკო, ტკბილ ოცნებებით, რომელთაც დაუსადგურნიათ ყოველ

ქართველის გულის სიღრმეში. ჩვენი ხალხური სიმღერა,—ცოცხალი სიმბოლოა ერის ბუნებითი მხატვრობისა, მისი პოეტური ნიჭისა, გადმომცემია ყოველ იდუმალ გრძნობისა. მგრძნებარე ქართული სიმღერის კილო ყველგან მედიდურად გაისმის: დედა ნანას უმღერის აკვანში მწოლიარე ბავშვს, მღერის მუშაკი და ამ სიმღერით იმსუბუქებს დამაოსებელ შრომას, მღერის გლეხი მგრძნებარე ურმულს და არე-მარეს უერთებს ტანჯულ-მაშვრალის გულის სიღრმიდან ამოძახილ კვნესას, მღერის მეომარი და სევდიან გმინვას უერთებს გამარჯვებულის ძლევა-მოსილ ამოძახილს. და ეს—ხან ძალოვანი, ხან გმირული, ხან ძლიერი, მედგარი და მრისხანე, ხან კი ნაზი, ლბილი. გულსაკლავი ნაღველით აღსავსე—ხალხური სიმღერა იბადებოდა წალკოტიან, სამოთხისებურ თვალ-წარმტაც საქართველოში.

ჩვენი სამშობლოს მომხიბლავი გრძნეულობით უნდა აიხსნას წარმოშობა უსაზღვრო, აზრით ულრმეს და მხატვრულის ნიჭით შექსოვილ სიმღერებისა. დიახ, ნაშთი დიდია, მედიდური, მაგრამ გამოუმზეურებელი, ვით მთის წიაღში ოქრო.

შემდეგ ახალგაზდა ლექტორმა მოიხსენია სხვა და სხვა კომპოზიტორთა აზრი ჩვენ ეროვნულ მუსიკა-სიმღერაზე.

**არსენ კორესჩენკოს** უთქვამს: „ქართულ მუსიკას აქვს თავისი საკუთარი სახე, საკუთარი ხასიათიო. იგი მდიდარია თავისებურობით, სიცოცხლით, ბუნებით, მრავალ ფეროვან ცვლილებით, უბრალო მელოდიებით, რომელნიც განვითარებულან მტკიცე დიატონიზმის ნიადაგზე, განირჩევიან დიდის მუსიკალურის სიმდიდრით. ქართულ ვოკალურ ხალხურ მუსიკას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს აღმოსავლეთის მუსიკალურ შემოქმედების წიაღში, იგი დიდი ყურადღების და შემუშავების ღირსია, რადგანაც მას შეუძლიან ახალი გზა უჩვენოს მუსიკალურ ხელოვნებასაო.

მოსკოვში კიდევ, სიეტნოგრაფიო კომისიის კრებაზე **ბ. ეისნერს** მოხსენება წაუკითხავს ქართულ მუსიკაზე და ის აზრი გამოუთქვამს, რომ საჭიროა საქართველოში გაიგზავნოს სამეცნიერო—სამხატვრო ექსპედიცია, რომელმაც ხელი უნდა მოჰკიდოს დიად საქმეს; ძვირფას საუნჯის,—ქართულ მუსიკის შესწავლასაო".

რასაც ხელოვნების მცოდნენი ასერე აფასებენ, ჩვენ ან სრულიად არ ვაქცევთ ყურადღებას ან თუ ვაქცევთ, არა ვცდილობთ შეუნარჩუნოთ ჰანგს თავის პირვანდელი ფორმა, ვამახინჯებთ პირველ სახეს. ორგანიულად აუცილებელი საჭიროება დიდი ყურადღება მიექცეს ამ ხელოვნებას. საჭიროა შევიგნოთ, რომ მუსიკა არ არის მარტო გასართობი რამ, არამედ დიდ მნიშვნელოვანი ელემენტია ერის აღზრდისათვის და აღმატებისათვის. მეცნიერება და ხელოვნება ერთეულ ლამპრად უნდა წარუძღვნენ პიროვნებისა და, მაშასადამე, ეროვნების და კაცობრიობის აღზრდას, განვითარება-წარმატებას, მაგრამ უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს ბუნებრივი, პირველ-წარმოშობითი ფორმა: იგი უზენაესი და უმტკიცესი საფუძველია ხელოვნურ სილამაზისა.

საჭიროა შეიქმნს მეცნიერულად დასაბუთებული ისტორია ჩვენი მუსიკისა, რათა სხვებმაც გაიგონ, რომ ქართველებს გვქონია საამაყო მედიდური ნამყო, რომ „ნაშთი ძველის დიდებისა არ გამქრალა ჯერაც ყველა", გაიგოს აგრეთვე ყველამ, რომ ხალხს, რომელმაც შესძლო შექმნა ამ სიდიადისა,—აქვს უფლება ეხლაც გამოჰხატოს სიმღერებში თვისი გრძნობა-მისწრაფება თავისუფალ განვითარებისაკენ.

ახალგაზრდა ლექტორი დამსწრე საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ლექციის შემდეგ გაიმართა კონცერტი მომღერალთა გუნდისა მიხ. კავსაძის ლოტბარობით. ტფ. საზოგადოება იმდენად კარგად იცნობს ამ გუნდს, რომ მასზე დიდხანს აღარ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ სულ სამიოდე წელიწადია, რაც იგი დაარსდა და უკვე საკმაო სახელი და სიყვარული მოიპოვა ჩვენს საზოგადოებაში.

რამდენადაც გვესმის (ძმ. შარაბიძეების) მომღერალი გუნდი უნდა სჯობდეს ჩვენებურს—აღმოსავლეთელებისას, ამიტომაც კარგს იზავდნენ ქუთათურები, რომ თავის პროვინციებში მოგზაურობის დროს, ერთხელ ჩვენსკენაც (ტფილისში) შემოიხედავდნენ და საშუალებას მოგვცემდნენ მოგვესმინა. აგრეთვე საჭიროა ტფილისელი მომღერლებიც თავიანთ მოგზაურობის დროს, რასაც აპირობენ ამ ზაფხულში, ესტუმრონ ქუთათურებს.

ტფ. მომღერალთა გუნდს, ბევრს თვის ღირსებასთან ერთად, აქვს თვისი ზოგიერთი ნაკლიც, რაიც გვინდა აქვე აღვნიშნოთ: შიგ არა სჩანს, განსაკუთრებით პირველ და მეორე ხმებში ისეთი მონაწილენი, ორიოდე კაცის გარდა, რომელთაც ჰქონდეთ საყურადღებო და მაღალი ხმები, რაიც საჭიროა განსაკუთრებით ბევრ ქართულ სიმღერებისთვის. ეს გუნდი მცირე რიცხოვანია. ვფიქრობ, რომ დიდ საჭიროებას არ შეადგენდა დაარსება ავლაბარშიც მეორე მომღერალთა გუნდისა; რომ ისევ მოეხერხებინათ შეერთება, ამით თვითონაც მოიგებდნენ და საზოგადოებაც... აქაურ მომღერლებს ძალიან ნაკლებადა აქვთ, ეტყობა, შესწავლილი დასავლეთ საქართველოს ჰანგები; მაგ. 27 მაისის კონცერტზე ასრულებულ ნომრებში, ერია ერთად-ერთი „ბროლის ყელსა მოგეხვიე" და იმასაც აკლდა ის სიმკვირცხლე და მჩქეფარე, ცოცხალი გადმოცემა, რაიც დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ჩვენებურ დასავლეთელების, როგორც ხასიათისას, აგრეთვე სიმღერის კილო-კავისას. ამას გარდა ხორო უნდა ეცადოს არ გადუხვიოს ხოლმე თავის მიზანს და ხალხურ ეროვნული სიმღერები არ შელახოს უცხოთა კილო-კავებით და გადმოქართულებულ სიმღერებით.

ამ კონცერტზე შეასრულეს სულ 17 ნომერი სიმღერისა, რომელთაგანაც დამსწრეთ განსაკუთრებით მოეწონათ: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ", „გუშინ შვიდნი გურჯანელნი", „ვარალო, რაო გინდა ცოლი ლამაზი", „ღმერთო მეც გადმომხედევი", „სოფლელი გლეხის შვილი ვარ", „ფერხული" და „ცანგალა".

კონცერტით და ლექციით მრავლად თავშეყრილი საზოგადოება კმაყოფილი და მადლიერი დარჩა.

**გ. ა—ციხელი.**

## საზაფხულო კურსები ქართული ენა

სახალ. გაზ. 595 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ბ. „Топ."-სა რომელიც ახადებდა, რომ საზ. სამასწავლებლო კურსების მოწყობა ბორჯომში უკვე გადაუწყვეტია სამოსწავლო მთავრობასო.—საჭიროა ეხლავე მიღებულ იქნას ზომები რომ ქართულ ენასაც დაუთმონ ადგილი.

ხშირად, კორესპონდენტები ეხებიან სოფლის მასწავლებლების ამა თუ იმ საყურადღებო და საკითხს დაასკვნიან ხოლმე: „დარწმუნებული ვართ ამ საკითხის გამო სოფლის მასწავლებელნი ხმას ამოიღებენ" ან კიდევ "იმედი გვაქვს სოფლის მასწავლებლები ამ საკითხს უფრო ვრცლად შეეხებიან, გაარკვევენ", და სხვ. მაგრამ გადის ხანი და ასში ერთი თუ წამოიძახებს საიდანაც და ბოლოს უიმედოდ, რომ მისმა კოლეგებმა მხარი არ მისცეს, ხმას ჩაიწყვეტს.

რა არის ამის უმთავრესი მიზეზი? ნუ თუ ის, რომ სოფლის მასწავლებლებს საგნის კრიტიკულად განხილვა არ შეუძლიანთ? ან ამა თუ იმ საგანს გაცნობილნი არ არიან? არა! ამის უმთავრესი მიზეზი ქართულ ლიტერატურულ ენის უცოდინარობაა. ქართულად აზრის გამოთქმა არ შეუძლიანთ. რედაქციაც დამეთანხმება, რომ წერილი, გაგზავნილი სოფლის მასწავლებელისაგან დასაბეჭდად, რომელიმე საყურადღებო საგანზე, ისეა არეულ-დარეული, რომ წაკითხვა და რისამე გაგება შეუძლებელია, რისთვისაც ხშირად კალათში უკვრენ ხოლმე თავს. სოფლის ყოველდღიურ ჭირ-ვარამის გამომხატველი სოფლის მასწავლებელი უნდა იყოს. მან უნდა აცნობოს საზოგადოებას სოფლის ყოველნაირი მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ პრესის საშუალებით შეიძლება, ამისათვის ქართული ენის ცოდნაა საჭირო, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ამიტომ, საჭიროა უპირველესად ყოვლისა კურსები ქართული ენისა.

ვეთანხმებით ბ. „топ"-ის აზრს იმის შესახებ, რომ ლექცები უნდა იკითხებოდეს ერთს ან ორ საგანზე, რადგან კურსებზე რამდენიმე საგნის შესახებ ლექციების კითხვა მავნებელიაო. ქართულ ენას განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცეს.

დარწმუნებული ვართ, რომ, ამ კურსების შესახებ სოფლის მასწავლებლები ხმას ამოიღებენ.

**გ. ცხრუკვეთელი.**

## ხმა ბათომიდან
(გიორგი სააკაძის გასამართლება)

დიდი ხნის განზრახული გასამართლება ეხლა ძლივს სისრულეში მოიყვანეს. თავმჯდომარეობს ბ. მდივანი, წევრებად არიან ბ. გიგინეიშვილი, ნიჟარაძე, საბახტარაშვილი, გოგოლაძე და სხვა... ბრალმდებლად ბ. გიორგაძე გამოდის, დამცველად ბ. ქვარიანი. ბ. თავმჯდომარე მოკლედ უხსნის საზოგადოებას ამ გვარ გასამართლების მნიშვნელობას და სიტყვას აძლევს ბრალმდებელს. ბრალმდებელი გიორგაძე მთელ ერთ საათსა და 15 წ. ანდომებს ლაპარაკს. მრავალი ციტატები მოჰყავს, იოსელიანისაგან, ჯანაშვილისაგან და თვით ფურცელაძის წიგნიდანაც, რომელსაც თუმცა, როგორც პოემას სანდო წყაროდ არა სცნობს, მაგრამ მაინც მოჰყავს ის გულ-შემზარავი ადგილი, სადაც კახელების გახიზვნის ამბავია იანვრის ყინვებში აწერილი... მოჰყავს აგრეთვე იოს. თბილელის სიტყვებიდან ის ადგილი, სადაც იგი აღწერს იმ მომენტს, როდესაც შახმა სააკაძეს გუდებით სავსე ოქრო-ვერცხლი აჩუქა. მას პირობისამებრ კარებამდინ უნდა მიეტანა, მაშინ შახი ეუბნება ჯალათებს: „არ მოჰკლათ **ეგ ჯაშუშიო**" ეს სიტყვა ქვარიანმა განმარტა, როგორც მრჩეველი — „სოვეტნიკი" შახისა—და არა პირდაპირის მნიშვნელობით.

**ბ. ბრალმდებელმა** მოღალატედ და დამნაშავედ აღიარა სააკაძე, როგორც საქართველოს საიდუმლოების მცოდნე და ამ საიდუმლოების გამცემი. 2) როგორც მცოდნე შახის განზრახვებისა საქართველოზე გალაშქრებისა და ამ ამბის არ შეტყობინება საქართველოსადმი 3) როგორც შახის ძალთა გამაძლიერებელი, 4) როგორც ძმა-ძმის სისხლის დამღვრელი (იმერეთ-საქართველოს ომი).

სხდომა რამდენიმე წუთით სწყდება-სიტყვა ბ. ქვარიანს ეძლევა: „ყველა დიდებული ადამიანის ხვედრია ისე უდიერად მოექცნენ და მოღალატედ აღიარონ, როგორც ეს აქ ბ. ბრალმდებელმა ჩაიდინა... მოიგონეთ ბ. კოლუმბი, გუტენბერგი და თვით ქრისტე, რომელნიც სიმართლისათვის აწამეს...

სააკაძე ჯაშუში კი არ იყო, როგორც თბილელის სიტყვაში ჰგონია ბრალმდებელს, არამედ ეს სიტყვა **ომონიმია**, როგორთაც სიტყვა „ხელი და ხელი (გიჟი) და ნიშნავს მრჩეველს-**სოვეტნიკს**" რუსულად, რადგან იგი შახის სოვეტნიკი იყოვო... საქართველოს საიდუმლოება სააკაძეს არ გაუცია, რადგან ჯერ იგი არც კი იყო დაბადებული, როდესაც საქართველოს მიწერ-მოწერა ჰქონდა რუსეთთანაო. შახის ძალები კა არ გაუძლიერებია სააკაძეს, არამედ შახის ძალებით დამარცხა საქართველოს მტერი (ოსმალეთი)... შორს მჭვრეტელი შახი თავის განზრახვას (საქართველოზე გალაშქრებას) სააკაძეს არ ეტყოდაო... ქართ.-იმერეთის ომი უბრალო სამოქალაქო ომი იყოვო... და სხვ... მე მხოლოდ ეხლა გავიგე, რომ ბ. ბრალმდებელს სწორედ ის ადგილები ამოუწერია, რაიცა ამცირებს გმირის სახელს, ამასა სჩადიან ბ.ბ. ჯანაშვილები და კამპანია მათნი. მე რომ ესა მცოდნოდა მთელს ტომებს წამოვიღებდი და წაუკითხავდი პატივცემულ საზოგადოებას, იქიდან გაიგებდით, რომ სააკაძემ დაღუპვისაგან იხსნა საქართველო, საკუთარიშვილი შესწირა მის ბედნიერებას და აქ კი მას ჩირქსა სცხებენო"...

დიდი აზრთა ბრძოლა გამოიწვია საზოგადოებაში ამ შემთხვევამ. თითქმის ერთი საათი მოანდომეს განაჩენის გამოტანას და ამ ხნის განმავლობაშიაც საზოგადოება ერთი მეორეს ცხარეთ ეკამათებოდა. ბოლოს სასამართლოს წევრებმა დაადგინეს: რადგან ჩვენ თავს ჯეროვნათ მომზადებულად ვერა ვსთვლით ამ კითხვის გადასაწყვეტად, სავსებით დამნაშავეთ ვერა ვცნობთ სააკაძესაო"...

**ტრ. ი—ძე.**

## მოგონებანი ეფრემ-ხანის შესახებ

ამ ორი კვირის წინად ტელეგრაფმა სამწუხარო ამბავი მოიტანა, რომ ტახტის მაძიებელ სალარ-უდ-დოულეს ჯართან ბრძოლაში მოჰკლეს სპარსეთის მთავრობის ჯარის სარდალი ეფრემ-ხანი.

ვინც-კი ოდნავ მაინც ფხიზლად ადევნებდა თვალს სპარსეთის ცხოვრებას ამ ოთხი უკანასკნელი წლის განმავლობაში, მას უეჭველია გაგონილი ექნება ამ მართლაც ხალხური გმირის საოცარი ამბავი.

მდაბიო წრიდან გამოსული, მცირე განათლების პატრონი ეფრემ-ხანი თვალსაჩინო მოღვაწედ ითვლებოდა სპარსეთში ამ ბოლო ხანს. პირადი მხნეობითა და ბუნებრივი ნიჭის წყალობით, მიუხედავად იმისა, რომ იგი ტომით სომეხი იყო, სულ მოკლე ხნის განმავლობაში გაიკაფა გზა ადმინისტრაციის უმაღლეს ხარისხისაკენ. განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს, რომელმაც სპარსეთის ცხოვრების განსაკუთრებული პირობების გამო ხანგრძლივი ხასიათი მიიღო და ჯერაც ვერ დასრულებულა, მან მეტად დიდი ამაგი დასდო ირანის ხალხს.

ივლისის რევოლუციის დროს, ბახტიარებთან ერთად თვისი რაზმით, რომელიც მხოლოდ კავკასიელებისაგან შესდგებოდა იგი პირველი ეკვეთა თეირანის კედლებს და გამარჯვების დროშით მისალმა მეჯლისის დანგრეულ კედლებს.

სწორედ ამ დროს ეკუთვნის ჩემგან მისი გაცნობა.

1909 წ. ივლისში ბედმა მარგუნა სპარსეთში მოგზაურობა. ეს ის დრო იყო, როცა მთელი განათლებული კაცობრიობა გულის ფანცქალით ადევნებდა თვალს ირანის ცხოვრების მსვლელობას — რევოლუციის ძლევა-მოსილი ტალღები კიდით კიდემდე ეფინებოდა სპარსეთის უდაბნოს. როცა თეირანს მივაღწიე, ბრძოლა უკვე გათავებულიყო, მაგრამ თოფის წამლისა და სისხლის სუნი კიდევ ტრიალებდა ჰაერში—ყველა ნერვებ აშლილი იყო, ყველა ფხიზლობდა და მზად იყო მოულოდნელი შემთხვევის ჯეროვნად დასახვედრად. მთელი უზარ-მაზარი ქალაქი სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა: სარდარ-ასადის ცხენოსანი ბახტიარები და ქვეითი ფიდაები ერთმანეთში ირეოდნენ; ქუჩები და მოედნები სავსე იყო მათი ცხენებითა და სურსათით. მცხოვრებთა გამარჯვებისა გამო სახეს უსაზღვრო სიხარული დასთამაშებდა. ყველას ენაზე ეკერა სარდარ-ასადისა და ეფრემის სახელი, ყველა ქება-დიდებით იხსენიებდა მათ საგმირო საქმეებს.

რასაკვირველია, ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ჩემი სურვილი ხალხური გმირების გაცნობისა, მით უმეტეს, რომ შემთხვევაც ხელს მიწყობდა.

ერთს მშვენიერ საღამოს, როცა ირანის მწველი მზე მთვარესავით.

## კრედიტი და ბანკი.
(წვრილი საკრედიტო დაწესებულებების გავრცელების გამო საქართველოში).
შემდეგი *)

**წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი გერმანიაში.**

კრედიტი და ბანკი დაჰბადა ცხოვრების მოთხოვნილებამ. როდესაც მწარმოებელი და მომხმარებელი, ერთის მხრით და თვით მწარმოებლები, მეორეს მხრით, ერთმანეთს დაშორდნენ, საჭირო შეიქმნა ისეთი დაწესებულების დაარსება, რომელიც ადვილად შეახვედრებდა სხვა და სხვა მწარმოებლებს ერთმანეთს. ცხოვრება თან და თან გართულდა, კრედიტი გაიზარდა, მრავლად გავრცელდნენ ბანკები მთელ ქვეყანაზე და მეცნიერებიც იძულებულნი შეიქმნენ განემარტათ კრედიტი და ბანკი. თეორეტიული პრინციპები კრედიტისა და ბანკისა მრავალ ფაქტებზე არის დამყარებული და ამიტომ ამათი განხორციელება ადვილიც არის და სასარგებლოც.

ჩვენ ამ წერილის დაწერის დროს იმდენად სხვა დიდი ბანკების მოქმედება არა გვქონდა სახეში, რამდენადაც წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი. ამიტომ ქვემოდ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის, თუ როგორ უნდა განხორციელდნენ ბანკის თეორიის პრინციპები წვრილ საკრედიტო დაწესებულებებში. ამ შემთხვევაში ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს გერმანიის წვრილი საკრედიტო დაწესებულებების გაცნობა, რადგანაც მათი გამოცდილება ჩვენ ბევრს კარგს მაგალითს გვიჩვენებს. გარდა ამისა გერმანიის წვრილი საკრედიტო დაწესებულებების პრინციპები ცოტად თუ ბევრად გადმოტანილნი არიან რუსეთში და ამგვარსავე პრინციპებზე არიან დამყარებულნი რუსეთის წვრილი საკრედიტო დაწესებულებანიც.

ამიტომაც მოკლედ აღვნიშნავ გერმანიის წვრილ საკრედიტო დაწესებულებანის მოქმედებას.

გერმანია ამ ჟამად პირველი სახელმწიფოა მთელ დედა-მიწის ზურგზე, სადაც ათასობით მოიპოვებიან წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი. 1908 წ. გერმანიაში ითვლებოდა 16,092 საკრედიტო დაწესებულება 2.202.949 წევრებით. 966 შულცე-დელიჩის სახალხო ბანკების ძირითად თანხას შეადგენდა 1904 წ. 156 მილ. მარკა *) ერთი წლის განმავლობაში მათ სესხად გასცეს 2,702 მილ. მარკა.

გერმანიის წვრილმა საკრედიტო დაწესებულებებმა ორი ხანა გამოიარეს. პირველ ხანებში იქ დაარსდნენ ეგრედ წოდებული „სამადლო საკრედიტო დაწესებულებანი", ეს დაწესებულებანი შოულობდნენ საჭირო გასასესხებელ ფულს ამნაირად: ზოგს ქველ-მოქმედნი სწირავდნენ, ზოგს კიდევ სახელმწიფო, ან ქალაქი აძლევდა საჩუქრად, ან სესხად, უსარგებლოდ. მუდმივი თანხა მათ არა ჰქონდათ. წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი ფულს აძლევდნენ სესხად, უსარგებლოდ. ფულის ამღებნი ხშირად ისეთი პირნი იყვნენ, რომლებიც არავითარ საქმეს არ აწარმოებდნენ და ძალზე ღარიბები იყვნენ. თუმცა ეს გასესხებული ფული ვადით იყო ხოლმე მიცემული, მაგრამ რადგანაც მოვალეები ხშირად ღარიბები იყვნენ, ვერ იხდიდნენ დანიშნულს დროზე ვალს და ბევრი გასესხებული ფული სრულებით იკარგებოდა. მეორე მხრით, რადგანაც იგინი სარგებელს არ იხდიდნენ, მათ არა ჰქონდათ საშუალება შეედგინათ სათადარიგო თანხა. ამიტომ ასეთ დაწესებულებებს ხშირად ერთი წლის განმავლობაში ელეოდათ ძირითადი თანხა და თვითონაც სულსა ლევდნენ. გარდა ამისა საქმის სათავეში იდგნენ ისეთი პირნი, რომლებიც აძლევდნენ ფულს და თვითონ მოვალეები კი საქმის ვითარებას არ ადევნებდნენ თვალყურს.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სამადლო დაწესებულებების მოვალეთა შორის იყვნენ ისეთები, რომლებსაც თავის საწარმოვო დაწესებულება არა ჰქონდათ და მაშასადამე სესხად აღებული ფულის გადატრიალება არ შეეძლოთ. ამიტომ ბევრი გასესხებული ფული იკარგებოდა. ამის შედეგი ის იყო, რომ მუდმივი თანხა მხოლოდ სამადლოდ ნაჩუქარი ფულისაგან შესდგებოდა. ამ თანხის გარდა მათ სხვა თანხა არ მოეპოვებოდათ. გარდა ამისა, თავისუფალი თანხის პატრონებს კასაში შესანახად არ შეჰქონდათ თავისი ფული, რადგანაც მისი უკან დაბრუნების იმედი არა ჰქონდათ. ამ მიზეზით ამნაირმა დაწესებულებებმა დიდხანს ვერ იხეირეს; ესენი გადაკეთდნენ სხვა გვარ წვრილ საკრედიტო დაწესებულებებად, რომელნიც სულ სხვა ნაირ პრინციპებზე მოეწყვნენ.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ამ ახალ-გვარი წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა ორგანიზაცია, ამისათვის საჭიროა გავსინჯოთ აქ ეილენბურგისა და დელიჩის ფერეინების წესდება. ეს ფერეინები დაარსდნენ ქალაქ დელიჩში მცხოვრებ შულცეს მეცადინეობით და ამიტომ ამათ ჰქვიანთ შულცე-დელიჩის წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი. ასეთი დაწესებულება ტიპიურია გერმანიის წვრილი საკრედიტო დაწესებულებათათვის. ამიტომ საჭიროა, რომ ამათ წესდებას გავეცნოთ და ამ რიგად სხვებიც გვეცოდინება.

თუ რა მიზანი აქვთ დასახული ეილენბურგის და დელიჩის ფერეინებს, ამას ვხედავთ ჩვენ მათი წესდების პირველი მუხლიდან. ორთავეს ის მიზანი აქვთ დასახული, რომ თავის წევრებს საშუალება მისცენ საწარმოვო კრედიტით სარგებლობისა. სულ პირველად პასივი ამ დაწესებულებისა შესდგებოდა უმთავრესად კერძოდ ნასესხი ფულისაგან. ფერეინები სცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი გასასესხებელი თანხა მოეპოვებინათ. ამ ფულს აძლევდნენ მხოლოდ თავის წევრებს და ისიც იმათ, რომელნიც წარმოებაში ხმარობდნენ აღებულ ვალს.

ეილენბურგის და დელიჩის ფერეინები სულ მუდამ იმასა ცდილობდნენ, რომ გასესხებული ფული ისეთის ხელში ჩავარდნილიყო, რომელსაც შეეძლო რაიმე წარმოების გაძღოლა. მესამე მუხლი წესდებისა პირდაპირ არ გვიჩვენებს, თუ ვინ უნდა მიეღოთ წევრად; მაგრამ ამავე წესდებიდან ვხედავთ, თუ ვისი მიღება შეიძლებოდა ფერეინის წევრად და ვისი არა. ფერეინის წევრი შეეძლოთ დაეთხოვნათ შემდეგს შემთხვევებში: ა) თუ იგი უზნეო ცხოვრებას ეწეოდა; ბ) თუ ფერეინი გაიგებდა, რომ წევრი ფულებს ფლანგავდა და თავისი სიზარმაცით და ცუდი ყოფაქცევით თავის წარმოებას ღუპავდა; გ) თუ წევრს არ შეჰქონდა მუდამ თავის დროზე საწევრო გადასახადი. დ) თუ იგი ვნებას მიაყენებდა კასას, ან თავდებს და სხვა. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ თუ წევრს ზემო ჩამოთვლილი მიზეზების გულისათვის ითხოვდნენ, არც თაობითვე მიიღებდნენ ისეთ წევრს, რომელსაც კარგად არ შეეძლო თვისი საქმის გაძღოლა.

მაშასადამე სჩანს, რომ ფერეინებში მხოლოდ ისეთი წევრები იყვნენ, რომლებსაც შეიძლება ბევრი საკუთრება არა ჰქონდათ-რა, მაგრამ საქმის კარგად გაძღოლის უნარი ჰქონდათ და წარმოებაში გადატრიალების შემდეგ სესხად აღებული ფული შეეძლოთ შემდეგ დაებრუნებინათ კასაში.

ამიტომ ისეთ მოთავე პირს, რომელიც დაცემული იყო და რომელსაც უფრო სამადლოდ სჭირდებოდა ფული, არ შეეძლო ყოფილიყო ფერეინის წევრად. ასეთ პირებს სამადლოდ უნდა ეთხოვნათ ფული და არა სესხად. „მიზანი ჩვენი ფერეინისა (საზოგადოებისა), ამბობს შულცე, იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დახმარება აღმოუჩინოთ მათხოვრებსა და ღატაკებსა, ჩვენ გვინდა პირიქით, ღატაკება და მათხოვრობა მოვსპოთ. მხოლოდ ის, ვისაც შეუძლიან თვისი შრომით თავისი თავიც და ოჯახიც არჩინოს ღარიბად მაინც, მხოლოდ მას შეუძლიან იყოს ჩვენი ფერეინის წევრად, იმას შეუძლიან ითხოვოს სესხად იმდენი, რამდენიც საჭიროა მისი ხელობისათვის და რომლის გადახდაც მას შეეძლება".

ახლა ვნახოთ წესდების ის მუხლები, რომლებიც შეეხებიან იმას, თუ როგორ უნდა გაიცეს სესხი. მერვე მუხლი ეილენბურგის წესდებისა ამბობს: „დირექტორი ფერეინისა იღებს ყოველივე თხოვნას სესხის შესახებ. მას დავალებული აქვს, რომ ძალიან დაწვრილებით და მიუკერძოებლად გაეცნოს იმ პირის მდგომარეობას, რომელიც სესხსა თხოულობს, რათა შეიტყოს, შეუძლიან თუ არა მოვალემ სესხი დააბრუნოს. თუ დირექტორი არ იცნობს თვითონ მოვალეს, მაშინ იგი იგებს ცნობებს მისი მდგომარეობის შესახებ სხვა პირებისაგან, ან კასირისაგან, ან გამგეობის წევრისაგან. როდესაც ყველა ამ ცნობებს შეკრებს, მაშინ იმის მიხედვით თუ კასაში ფული რამდენია, ან სრულებით აკმაყოფილებს მთხოვნელს, ან და ნაწილს აძლევს".

დელიჩის ფერეინის წესდების მეცამეტე მუხლი უფრო ვრცლად განმარტავს, თუ როგორ უნდა გაიცეს სესხი: ა) სესხის ამღები უნდა ყოფილიყო ფერეინის წევრად 3 თვის განმავლობაში მაინც და ამ ხანაში თავის დროზე წესიერად უნდა ეხადნა თავის დროზე საწევრო გადასახადი. ეს მოთხოვნილება აშკარაა ორ-გვარი მიზეზით იყო გამოწვეული: 1) რომ ფერეინის წევრობიდან განედევნათ ისეთი პირნი, რომელთაც სრულებით არა ჰქონდათ-რა და რომელთაც უნდა მიემართნათ ქველმოქმედებისათვის და არა საკრედიტო დაწესებულებისათვის, 2) თუ წევრი ბეჯითად ხდილობდა საწევრო გადასახადს, ეს იმის ნიშანი იყო, რომ წევრი ყველაფერში ბეჯითი და საქმის მცოდნე იქნებოდა. ბ) მეორე მოთხოვნილება იყო ის, რომ მოვალეს არ ჩაედინა არავითარი დანაშაულობა და თავის ხელობით ჰავნე საქმე არა ჰქონოდა-რა. მოთხოვნილების ძალით ფერეინის წევრობიდან იდევნებოდნენ ყველა ის პირნი, რომელნიც უწესო ცხოვრებას ატარებდნენ და მათთან საქმის დაჭერა საშიში იყო. გ) მესამე მოთხოვნილება იყო, რომ მოვალეს დარჩენილი ვალი (недоимка) არა ჰქონოდა წინად აღებული სესხიდან. აგრეთვე ის, რომ მოვალე წევრის მიზეზით მის თავდებს წინად არაფერი ვნება არ მისდგომოდა. ეს მოთხოვნილება იმის მომასწავებელი იყო, რომ თუ წინად წევრი ბეჯითად და წესიერად იხდიდა ვალს, მას შესძლებია და უნარი ჰქონია თავის წარმოებაში ფულის გადატრიალებისა.

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 606.

*) მარკა—47 კაპ.

უსხივოდ ჩაესვენა ცის დასავალს და უდაბნოს ხმელმა სიომ ოდნავ გააგრილა გავარვარებული ჰაერი, დავიქირავე ეტლი და გავსწიე ეფრემის სადგომისკენ. გზა და გზა მეეტლე, რომელიც ბაქოელი სპარსელი გამოდგა, დამტვრეულ რუსულით მიამბობდა თეირანთან ბრძოლის საშინელ ამბებს და მათრახის ტარით მანიშნებდა ქუჩებს, თუ შენობებს, რომლებიც ყუმბარებს დაეზიანებინა. ყველაზე მეტი, რასაკვირველია, უფრო მაღალ შენობებს მოხვედროდა და რადგან სახლები მეტ წილად უბრალო ტალახითაა ნაშენი, ზოგიერთი მათგანი სრულიად დანგრეულიყო.

კარგა ხნის სიარულის შემდეგ მივადექით უშველებელ ალაყაფის კარებს. მეეტლემ რაღაც საგანგებო კრძალვით მანიშნა, მივედითო. დავარაკუნე ჭიშკარი, თუ არა, წამს გამოჩნდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული კავკასიელი ფიდაი დ მკითხა მისვლის საბაბი. მეც ვუთხარი ჩემი ვინაობა და გავემართეთ სადგომისაკენ. აქ უნდა მოვიხსენიო, ეფრემი იმ დრო'ს თეირანის პოლიციის, უკედ რომ ვსთქვათ, ჟანდარმერიის უფროსად იყო, იმ ჟანდარმერიისა, რომელიც შემდეგში მან საუცხოოდ გაწვრთნა და მოაწყო.

ეზოში შესვლისათანავე უცხო რამ სანახაობამ წარიტაცა ჩემი თვალი: კარგა მოზრდილი ადგილი ზღაპრულ ოხივით იყო მოქარგული სხვა და სხვა უცხო ყვავილ-მცენარეებით, რომელთა შორის ვერცხლის ცოცხივით იშლებოდა თეთრ შადრევნის მტვრადქცეული წყალი; ხოლო შორს, ინგლისურ გემოზე მორთული ბაღის მეორე მხარეს, მზეთუნახავივით გამოიყურებოდა სხვა და სხვა ფერადი ქვით ნაშენი სასახლე, რამდენი შრომა და ფული უნდა დასჭირებოდა ბაღის გამშენებელს, რომ ისეთს მწირ მიწაზე, რომელზედაც ნარიც კი ვერ ხეირობს, ასეთი საკვირველება ამოეცენებინა ეს ბაღი და სასახლე თურმე, როგორც გადმომცეს, რომელიღაც პრინცს ეკუთვნოდა, რომელიც უცხოეთში გაჰქცეოდა მოძრაობის შიშს.

შევუდექით სასახლის განიერ კიბეს, რომელიც მთლად დაფენილი იყო შირაზის ძვირფასი ნოხებით. დარბაზის შესავალს იცავდნენ შეიარაღებული ფიდაები; აქ ცოტა შემაჩერეს, სანამ ჩემს სადარბაზო ბარათს გადასცემდნენ თეირანის უფროსს. მცირე ხანს შემდეგ კარებში გამოჩნდა შუა ტანისაზე ცოტა უფრო მაღალი, წვერ-ულვაშიანი ვაჟკაცი და თავაზიანი კილოთი მიმიწვია—ეს იყო თვით ეფრემი, შემდეგში ხანად და სარდარად წოდებული.

როცა ჩემი ვინაობა გაიგო, დიდად გაიხარა და ქებით მოიხსენია ჩემი თანამემამულენი, რომელნიც თურმე სასწაულებრივ მხნეობასა და ვაჟკაცობას იჩენდნენ რევოლუციის დროს. შევყევით მუსაიფს, რომლის დროსაც თან და თან აშკარა ხდებოდა მისი ბუნებრივი ჭკუა და ადმინისტრატორის ნიჭი. ბაასი, რასაკვირველია, სპარსეთის მაშინდელ ვითარებას შეეხებოდა. იგი გამოცდილ დიპლომატივით დალაგებით შლიდა პოლიტიკურ შესაძლებლობის მოსალოდნელ სურათებს და თავის უტყუარ აზრს გამოსთქვამდა. უტყუარ აზრს-მეთქი ვამბობთ რადგან მერმისმა სრულიად გაამართლა მაშინდელი მისი ნაფიქრი და ნავარაუდევი. მისი აზრით სპარსეთის ხსნა ფეოდოლიზმის დამხობით უნდა დაწყებულიყო.

„საჭიროა ძლიერი ერთმთავრობა,—ამბობდა განსვენებული,—რომ ყველა ეს ნაკუწ-ნაკუწად ქცეული კუთხეები შეართოს, შეადუღოს ერთს მძლავრ სახელმწიფო ორგანიზმად და მით იხსნას ქვეყანა აუცილებელ დაღუპვისაგან; სულ ერთია როგორიც უნდა იყოს ეს მთავრობა, რესპუბლიკანური თუ მონარქიული. საჭიროა მხოლოდ თავგასულ ხანების ალაგმვა, რომელთაც სპარსეთი თავის დაუგეშელ ქინის საარეშოდ მიაჩნიათ და ამიტომ არც კანონს იცნობენ და არც ქვეყნის საერთო ინტერესს“.

როცა მე შევეკითხე, თუ როგორი იქნება რევოლუციის პირდაპირი შედეგი-მეთქი, მან თავისებური დინჯი კილოთი მომიგო: „შედეგებზე ჯერ ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან რევოლიუცია, ნამდვილი ხალხური რევოლუცია, ჩემის აზრით, მხოლოდ ახლა იწყება. ვინ იცის, რამდენი მსხვერპლი შეიწირება კიდევ და რამდენჯერ დაგვჭირდება ხმლის გაშიშვლება. როგორ გგონიათ, ასე ადვილად შეურიგდება ტახტიდან ჩამოგდებული ირანის ბატონი თავის მწარე ხვედრს?“

გამართლდა კიდეც მისგან წინასწარ თქმული, რომელმაც იმსხვერპლა თვით იგიც.

განსვენებული ამბობდა, სპარსეთს არა ჰყავს საამდროოდ მომზადებული პირები, რომ ახალი ღვინო ახალს თხიერებში ჩაისხასო და დიდად სწუხდა იმის გამო, რომ ზოგიერთი მისი ყოფილი ამხანაგი სულ სხვანაირი თვალით უცქერდა მას, მთავრობის სამსახურში შესვლის შემდეგ.

„ვერ გაიგეს ჩემი მისწრაფება და ეს მაწუხებსო“, დაასრულა მან თავისი გრძელი ბაასი. ამასობაში ჩაი მოგვიტანეს და იგიც აჩქარდა—მინისტრ სარდარ-ასბდთან მინდა წასვლა და ნურას უკაცრავად, თუ ცოტა ხნით მარტო დაგტოვებო. მაგრამ როცა გაიგო, რომ მეც მინდოდა მინისტრის ნახვა, ღიმილით მითხრა ქართულად: „რაღაი ეგრეა, მაშ მამიდაც ვნახოთ და კვიციც გავხედნოთო“.

მოართვეს საკუთარი მშვენიერი ეტლი, რომელსაც წყვილი არაბული ცხენი ება. ჩავსხედით თუ არა ათი-თორმეტი ცხენოსანი ფიდაი შემოგვერტყა და გუგუნით გავსწიეთ მინისტრის სასახლისაკენ.

ა. ჭუმბაძე.

(დასასრული იქნება)

# ხალხური ზღაპრები

## ბერი ვეზირის შვილი

(გაგონილი ალექსან. ჭანჭალეიშვილისგან). ჩაწერილი ი. არ—ძისაგან.

ერთ დროში სცხოვრობდა მეტად სახელოვანი მეფე. უშვილოდ ბერდებოდა. უშვილოდვე უბერდებოდა სახელოვანი ვეზირიც—სიყმაწვილის მეგობარი. ბევრი ილონეს, რა საშუალებას არ მიჰმართეს, მაგრამ სულ ამაოდ. ერთ ღამეს ვეზირის ცოლმა ნახა მეტად საოცარი სიზმარი, რომელიც მეორე დილას უამბო ქმარს. ქალმა სთქვა: სიზმარში მოვიდა ვიღაც თეთრად გამოწყობილი და მითხრა: მეფის ბაღში წყალზე გადაშვერილი ვაშლის ხე რომ არის, ის ყოველ წლობით ორ ვაშლს ისხამს. ის რომ მოწყვიტოთ და ერთი დედოფალს მიართვათ და მეორე ხელმწიფეს, დედოფალი აუცილებლივ დაორსულდება და შვილი ეყოლებათ. ვეზირი იმ წამსვე გაიქცა მეფესთან, რომ ეხარებინა სიზმარი, რომლის აღსრულებაში ეჭვი არა ჰქონდა. მეფემ ყოველივე მოისმინა, გახარებულმა მადლობა შესწირა ღმერთს ასეთი სასწაულისთვის და გაგზავნა ვეზირები რომ მოეტანათ ის ვაშლები. ბევრს ეწვალნენ, რომ ორივე მოეწყვიტათ, მაგრამ ვაშლები ისეთ ადგილას იყვნენ, რომ მოწყვიტეს თუ არა ერთი, მეორე მოულოდნელად მოსწყდა, წყალში ჩავარდა და დაიკარგა. ერთი მიართვეს მეფეს. მეფემ გასჭრა შუაზე, ერთი ნახევარი დედოფალს მიართვა მეორე ნახევარი კი თითონ მიირთვა.

მეორე ვაშლი, რომელიც წყალში ჩავარდა გაიტაცა მდინარემ და შემთხვევით მოხუც ვეზირის სარწყულთან მიაგდო. ვეზირის ცოლი ჩამოსულიყო სარწყულთან და მოშინაურებულ თევზების ცელქობას თვალყურს ადევნებდა. მოულოდნელად თვალი მოჰკრა ვაშლს, მოეწონა დ უბრძანა მოსამსახურეს ამოეღო. მოსამსახურემ ამოიღო დ მიართვა. ვეზირის ცოლმა წამოიღო სახლში. უჩვენა ქმარს და ისიც უთხრა თუ სად იშოვა. ვეზირს მოეწონა ვაშლის სილამაზე, გასჭრა შუაზე ნახევარი ცოლს მისცა და ნახევარი თითონ შესჭამა. გაიარა ხანმა.

ერთ დღეს მეფემ ახარა მოხუც ვეზირს: დედოფალი ორსულად არისო. ვეზირმა მოახსენა: დედოფალს თუ ორსულად ბრძანდება, ჩემი მეუღლეც ორსულად არისო. მეფეს ძლიერ სასიამოვნოდ დაურჩა და უთხრა ვეზირს: თუ ქალ-ვაჟი გვეყოლოს ერთმანეთზე ჯვარი დავწეროთო მიუხედავად იმისა ვის ეყოლება ვაჟი და ვის ქალი. დასწერეს ასეთი პირობა და მიაბარეს მოხუც ვეზირის ცოლს. მეცხრე თვეზე ორივე მშვიდობით გადარჩნენ, დედოფალს ქალი შეეძინა და ვეზირის ცოლს ვაჟი.

გაიარა დრო ჟამმა. ქალ-ვაჟი წამოიზარდნენ, პირობა კი ორივე მხრიდან დავიწყებას მიეცა. დაიწყეს ქალის გათხოვებაზე ლაპარაკი. დანიშნეს კიდეც; დანიშნა დასავლეთის სახელმწიფოს მეფის შვილმა. დღეც ამოარჩიეს ჯვარის წერისა.

მოხუც ვეზირის შვილმა პირობის შესახებ არაფერი იცის და არც არაფერი გაუგონია. ვაჟი ისეთი ახოვანი და ღონიერია, რომ ტოლი არ ჰყავს. ტოლებში ვერავინ ვერ უმაგრდება. ერთ დღეს წაელაპარაკა ამხანაგს და კიდეც გაარტყა სილა. ამხანაგმა სამაგიეროდ უთხრა: დიდ გულადობას და ვაჟკაცობას იჩენ, მაგრამ შენ რომ გულით ვაჟკაცი იყვე არც საცოლეს წაგართმევდნენო.

ეს რომ გაიგონა, იმ წამსვე გამობრუნდა სახლში ჩაფიქრებული და უთხრა დედას: დედა, რამდენი ხანია შენი ძუძუებისთვის კბილი არ დამიდგამს, ნება მომეცი ბავშვურად მოგესიყვარულოვო. ინებე შვილოვო, და უჩვენა ძუძუ. ვაჟმა რაკი ძუძუ პირში მოიგდო მოუჭირა კბილი და უთხრა: მითხარ, რას ნიშნავს რომ დღეს ჩემმა ამხანაგებმა წამომაკრეს: შენ თუ კარგი ვაჟკაცი იყვე საცოლეს არ გაგითხოვებდნენო? გულშეწუხებული დედა მოუყვა ყველაფერს და მასთან პირობაც უჩვენა. ვაჟმა ჩაიდო პირობის ქაღალდი ჯიბეში და თან დაჰქონდა. თქმით კი არავისთვის არაფერი უთქვამს.

მოახლოვდა ჯვარის წერის დღეც. იმ დღისთვის ვაჟი გამოეწყო ძვირფასად, შეჯდა კოხტა ცხენზე და ჯირითით შევიდა მეფის ეზოში. იმ დროს მივიდა, როდესაც ჯვარის საწერად წასულიყვნენ. მეფეს გაუხარდა მოხუც ვეზირის შვილის მოსვლა. ამ დროს ისინიც მოვიდენ ეკლესიიდან. ცოტა მოლხენის შემდეგ აიშალენ სუფრიდან და მაყრებით გაემგზავრნენ სიძის სამეფოსკენ. მეფემ ერთ სანდო მაყრათ გააყოლა ვეზირის შვილი. მგზავრობის დროს მეფე-დედოფალი და ვაჟი ერთად ისხდენ. რამდენს შეხედავდა ვაჟი ქალს იმდენს ამოიკვნესებდა: საზოგადოდ ვაჟის სახეს ჩვეულებრივი მხიარულება დაეკარგა. ქალმა შეამჩნია ეს და, როდესაც მარტო დარჩენ ჰკითხა:

— რა არის მიზეზი, რომ შემხედავ თუ არა, მწარედ ამოიხვნეშებო. ვაჟმა თქმით არაფერი უთხრა, მხოლოდ ორი მდუღარე ცრემლები გადმოყარა და პირობის ქაღალდი მისცა ხელში. ქალმა გადიკითხა, ძლიერ გაუკვირდა და გულიც დასწყდა, რომ ასეთი კარგ საქმროს დააცილა ბედმა. მაგრამ მიუბრუნდა ვაჟს, მისცა ქაღალდი და უთხრა, დრომდე გაჩუმებულიყო; თან დასძინა: სიკვდილის დღემდე შენ თავს ვერვინ დამაცილებსო.

მეორე დღეს ქმარს უთხრა: მე მინდა რომ ჩვენ ორივე ვაჟის ტანისამოსით შევიდეთ შენს სამფლობელოში. ამისათვის გაგზავნე შიკრიკი, რომ გზაზე მოგვაგებონ ტანისამოსიო. ქმარს მოეწონა ცოლის რჩევა და გაგზავნა შიკრიკი. მესამე დღეს მართლაც დახვდა შიკრიკი ტანისამოსებით. იმ ღამეს მოსასვენებლად, რომ დაიძინეს ვეზირის შვილმა და ქალმა გადიცვეს მოტანილი ტანისამოსი. მოახტენ ცხენებს და გაიპარნენ. დილას ნახა სიძემ რომ არც ცოლია მისი და არც მაყარი, გამოეკიდა მაგრამ კვალსაც კი ვერ მიაგნო. გამოპარულები მივიდნენ განის სახელმწიფოში. წარუდგენ მეფეს და გააცვნეს თავი მეფის შვილებად: მოახსენეს სანადიროდ ვიყავით წამოსულნი, გზა დაგვებნა და გთხოვთ ცოტახნობით თქვენ სასახლეში მოგვცეთ ბინაო. მეფე დასთანხმდა. კარგა ხანი გაატარა ქალმა ვაჟის ტანისამოსში და არც არავის ეჭვი შესვლია მის ვაჟობაზე, დრო გამოშვებით ხან ერთი წავიდოდა სანადიროდ და ხან მეორე. ერთ დღეს მეფის მოახლე ქალმა უთხრა მეფეს ერთი მათგანი ქალი უნდა იყვესო. მეფემ მიიხმო ვაჟი და უთხრა: რომელი თქვენგანია ქალიო. ვაჟი უარზე იდგა.

ბოლოს ქალი დაიბარა. მასაც ასეთივე კითხვა მისცა. ქალიც უარზე დადგა, მაგრამ ბოლოს მეფემ გამოტეხა მის შემდეგ ტყუილ-ტყუილა. უბრალო იყო ვაჟური ტანისამოსის ჩაცმა და ისევ ქალურად ეწყობოდა.

მეფეს ქალი მოეწონა. იფიქრა ცოლი მე არ მყავს მოდი ამას ცოლად შევირთავ. მაგრამ ვაჟი არ დამანებებსო. ძალი კი იცოდა ვერაფერს გახდებოდა მასთან. ისევ ხერხს მიმართა, რომლითაც შეიძლებოდა ვაჟის დაღუპვა. დაიბარა მეფემ ვაჟი და უთხრა: ამა და ამ ადგილას მზეთუნახავი ხაზანდარი რომ არის, იმას თუ მოვიყვან შენი სახელი უკვდავი იქნება ჩემი სახელმწიფოშიო. თუ უარი მითხარ, ეხლავე ვუბრძანებ ჯალათებს თავი წაგკვეთონო. მეფე დარწმუნებული არის რომ ის იმ ქალს ვერ მოიყვანს, რადგან მისი საშოვრად ბევრი [illegible] ყმაწვილები წასულან, მაგრამ ცოცხალი კი არც ერთი არ დაბრუნებულა. რაკი ვაჟი დაილუპებოდა, მერე ქალი მას დარჩებოდა. ვაჟმა ყოველივე უამბო მეფის ქალიშვილს. მეფის ქალიშვილი მიჰხვდა თუ სად ჰგზავნიდნენ მის საუნჯეს.

(დასასრული იქნება)

შეკრებილი იუსტინე არველაძისა.

# ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში

(დასასრული)

ოჯახში მუდამ ქართულად ან ჭანურად ვლაპარაკობთ, რადგან ქალებმა თურქული თითქმის არ იციანო ამისდა მიუხედავად მათ ქართულს დიდი ნაკლულობა აქვს: არეულია მრავალი თათრულ-არაბული სიტყვები და რთულ საგნებსაც მუდამ არა ქართული სიტყვებით გამოსთქვამენ. ეტყობათ აგრეთვე ჭანური ენის გავლენა. ერთმა მოხუცმა გვითხრა: „საქართველოდან რო ჩამოველი—თათრული მეძნელებოდა და ქართულად ვლაპარაკობდით, ახლა აგე-30 წელიწადია რაც აქა ვარ და როგორც ხედავთ დედა ენა არ ვიციო“.

დროს თავისი მოაქვს! სადაც ლიტერატურა და სკოლა არ არის იქ ენაც ვერ შეინახება! ჯერ კი არ ითქმის რომ ჩვენს მაჰმადიანებში ენა დაკარგულიყოს, მაგრამ ვადა აქვს. უნდა დავეხმარნეთ დროზე!

რაც შეეხება ქალების უცხოელებზე გათხოვებას — გვითხრეს, რომ თურქებს აღარ ვაძლევთ ჩვენს ქალებსო. ცუდათ იხსენიებენ მათ და ამბობენ, რისთვის უნდა მივცეთ ჩვენი ქალი, როცა არაფრით არ გვჯობნიან არც საქმით და არც ფულითო. უწინ სხვა იყო — ძალა ჰქონდათ და გვართმევდენო, ყველაზე კარგად ისევ ჩერქეზებთან არიან, მაგრამ უწუნებენ ერთ რამეს — ქურდობას. ამ სიტყვის ხსენებაზე მომაგონდა ჩვენებური მეგრელები და ვკითხე: ლაზები ხომ არ არიან ქურდები მეთქი? არაო,—იყო სწრაფი პასუხი! ჭანები თავისდღეში მაგისთანა საქმეს არ იკადრებენ, პირიქით საუკეთესო მოსაქმე და მოხერხებული ვაჰრებიაო. ერთ რამეს ჭანებსაც უწუნებენ—ფულის მოგება უყვარსთ და ხარჯვაკი არაო. გურჯებმა მოგებაც ვიცით და ხარჯვაც გვიყვარსო. ეს დახასიათება სწორია, რადგან მეც შევამჩნიე.

საზოგადოდ უნდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ სოფლად მცხოვრები ქართველობა საკმაოდ მისდევს აღებ-მიცემობას,—წინააღმდეგ კონსტანტინეპოლის ქართველობისა,

---

დ) მეოთხე მოთხოვნილება, რომელიც მთხოვნელს უნდა დაეკმაყოფილებინა იყო ის, რომ მისი ქონებრივი მდგომარეობა ყოფილიყო საიმედო თავდებად, რაც სესხს უზრუნველჰყოფდა. მეთერთმეტე მუხლი ეილენბურგის ფერეინის წესდებისა ყველა სესხს ორ გვარადა ჰყოფს: 1) სესხი 1—5 ტალერამდე*) და 2) 5 ტალერის ზევით. წვრილი ვალები 1—5 ტალერამდე შეეძლოთ გაეცათ ყველა წევრზე უბრალო პირობის წერილით. კომისიის (2—4 წევრის) ნებართვით. ამასთან უმთავრესი ყურადღება უნდა მიექციათ მთხოვნელის შრომის მოყვარეობისათვის, საქმის ცოდნისათვის და მისი ზნე-ჩვეულებისთვის. თუ დირექტორმა არ იცოდა მთხოვნელის მდგომარეობა მაშინ მას უნდა შეეგროვნა ცნობები და მხოლოდ მაშინ აესრულებინა თხოვნა.

როდესაც თხოვნა 5 ტალერს აღემატებოდა, მაშინ მთხოვნელის საკმარისად უნდა უზრუნველეყო წაღებული სესხი: ან დაეგირავებინა რამე, ან კიდევ თავდები წარედგინა. მართლაც გამოცდილებამ გამოარკვია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წესდების ასეთ მოთხოვნილებას.

საერთოდ სესხის მიცემის დროს, ამბობს შულცე-დელიჩი, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მოვალის ზნეობრივ თვისებებს, რადგანაც არ შეგვიძლიან მხედველობაში არ ვიქონიოთ ის, რომ ფერეინების მიზანი არის აღმოუჩინოს კრედიტი წვრილ მრეწველებს. ამ უკანასკნელთ ხშირად არ მოეპოვებათ სათავდებებო რამ. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მოვალის მატერიალურ და ზნეობრივ მდგომარეობის ცოდნას. ეს სახეში უნდა გვქონდეს გამგეობის ამორჩევის დროს. გამგეობაში უნდა იყვნენ მუდამ ის პირნი, რომლებიც კარგად იცნობენ იმ რაიონს, სადაც მოქმედობს ფერეინი. საუკეთესო საშუალება მთხოვნელის გარემოების გასაცნობად არის თავდების მოყვანა მთხოვნელის მხრით. თავდებობა საშუალებას იძლევა მუდამ თვალყური ადევნოს ყოველივე ცვლილებებს, რომელიც მოვალის წარმოებაში ხდება. თავდები მუდამ დაახლოვებულია მოვალესთან და კარგადაც იცის მისი გარემოება. არა დროს რიგიანს და საქმის მცოდნე მწარმოებელს არ გაუძნელდება თავის ამხანაგთა შორის თავდების შოვნა. შემდეგში იმავე თავდებს დასჭირდება თავის მხრივ თავდების შოვნა და ამგვარად იქნება სანაცვლო სამსახური. ამიტომ ჩვენს ფერეინებში პრინციპიალურად თხოულობენ თავდების წამოყენებას იმ შემთხვევაში თუ სესხი 5 ტალერს აღემატება. გამოცდილებამაც დაგვიმტკიცა, რომ ასეთი მოთხოვნილება გონივრულია ყოველ მხრით, რადგანაც შემთხვევა არა ყოფილა, რომ სესხის მაძიებელს ვერ ეშოვნოს თავდები“.

რა მხარესთვის უნდა მიექცია ყურადღება თავდებს, როდესაც ფერეინს უამბობდა მოვალის საქმის ვითარებას? მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ გამსესხებელ ამხანაგობებს ანგარიში უნდა გაეწიათ იმ ფაქტისათვის, რომ ფერეინის წევრები საზოგადოდ ნაკლები ქონების პატრონები იყვნენ. თავდებს შეძლება არა ჰქონდა არც თავისი საკუთარი ქონებით უზრუნველ-ეყო გაცემული სესხი და არც იმის დამოწმება შეეძლო, რომ მოვალეს ჰქონდა საკმარისი ქონება, რომლითაც უზრუნველ-ჰყოფდა აღებულს ვალს. შულცე-დელიჩის წესდება გვეუბნება, რომ თავდებებს შემდეგი ცნობები უნდა მიეცათ მოვალეების შესახებ:

1) უნდა აეწერათ მოვალის ხასიათი: მშრომელი იყო იგი თუ არა, პატიოსანი, სინიდისიანი, კარგად იცოდა თავისი ხელობა თუ არა და სხვა. 2) უნდა ეჩვენებინა იმისი ქონებრივი მხარე: ა) სასარგებლო იქნებოდა თუ არა იმისი წარმოებისათვის აღებული სესხი; ბ) რა მიზნით იღებს სესხს და რაში უნდა მოიხმაროს იგი; ერთი სიტყვით, რამდენად უნდა ჰქონოდათ იმედი ფერეინებს, რომ იმ მიზანს, რომელიც მოვალეს დასახული აქვს, მიაღწევს და საქმის დამთავრების შემდეგ იგი შესძლებს ვალის გადახდას.

უმთავრესი მნიშვნელობა მოვალისა იმაში კი არა მდგომარეობდა, რომ თავდები თავის ქონებით უზრუნველჰყოფდა ფერეინს, არამედ იმაში, რომ თავდებობის საშუალებით ამხანაგობა უფრო რწმუნდება რომ გასესხებული ფული ზარმაცის ხელში არ არის ჩავარდნილი და წარმოების პროცესსის დამთავრების შემდეგ ისევ დაუბრუნებს კასსას. აი ამიტომ იყო ისეთი შემთხვევები, რომ მოვალე ფულს არ იხდიდა და ეს თავდებსა ხდებოდა, მაშინ ამ წევრს სდევნიდნენ ამხანაგობიდან და წესდების ძალით ხელ-მეორედ მისი მიღება ამხანაგობაში აღარ შეიძლებოდა.

მაშასადამე ამა თუ იმ მოთხოვნილებებით პიროვნებისაგან და მისი ყოფა-ცხოვრებისაგან როგორც მოვალის წარმოებრივი უნარისა, აგრეთვე მისი ქონებრივი მდგომარეობისა; ბოლოს, მუდმივი და განუწყვეტელი თვალყურის დევნა თავდებობის საშუალებით, სულ ყველა ამ საშუალებებით ამხანაგობა სცდილობდა, რომ სესხი გონივრულად მოეხმარა ვალის ამღებს. ათასგვარ ზომებს ხმარობდა ამხანაგობა, რომ გასესხებული ფული მხოლოდ ეკონომიურად შეძლებულს და ფხიანს მწარმოებლის ხელში ჩავარდნილიყო.

თავის-თავად ცხადია, რომ უდროვო დროს არ შეიძლება მოვალესაგან ფულის თხოვნა. სესხის ამღებელს თავის განკარგულებაში იმდენი დრო უნდა ჰქონდეს, რომლის განმავლობაშიაც შეეძლოს გადაატრიალოს სესხად აღებული ფული თავის წარმოებაში. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, აღებული თანხით მოვალე ჯერ საჭირო საწარმოვო იარაღს ყიდულობს, შემდეგ რაიმე საქონელს ამზადებს და ბოლოს ამ საქონელს ისევ ფულად აქცევს. მაშასადამე მოვალეს მხოლოდ მაშინ შეეძლება ვალის გადახდა, როდესაც საქონელს უკვე ფულად აქცევს და თუ მას ამაზე ადრე მოსთხოვეს ფული, რასაკვირველია იგი ვერ გადაიხდის. აქ ჩვენ გადავდივართ უკვე იმ საკითხზე, თუ რა ვადით უნდა გაიცეს ფული.

თანხამ რომ თავისი მგზავრობა დაამთავროს, ამისათვის საჭიროა რამოდენიმე ხანი. თანხის მუშაობის ეს დრო კერძო პიროვნების უნარისაგან დამოუკიდებლივ განისაზღვრება: 1) წარმოების ტეხნიკური თვისებებით და 2) ტეხნიკურ-ეკონომიური პირობებით, როგორც დასამუშავებელი მასალის ყიდვა და ნაწარმოების ბაზარზე გაყიდვა. მაგალითად, წაღების მომზადება, ან სხვა ხელოვნური ნაწარმოების გაკეთება, თავისებური ტეხნიკური თვისებებისა გამო, ბევრ დროს არა თხოულობს. მეწაღე, დურგალი და სხვა ხელოსანი ასაღებს თავის ნამუშევარს ადგილობრივ ისე რომ შორეულ ბაზარზე გატანა მას არა სჭირდება და ამაში დრო არ ეხარჯება. დასამუშავებელ მასალის შესაძენადაც მას ცოტა დრო სჭირდება. მაშასადამე თანხის გადაბრუნება ხელოსნისათვის ბევრს დროს არა თხოულობს. ეილენბურგის გამსესხებელი ამხანაგობის მეთორმეტე მუხლის ძალით, იმ შემთხვევაში თუ სესხი 5 ტალერს აღემატებოდა, ფულის გადახდის ვადა უნდა დაენიშნათ იმის მიხედვით, თუ რა პირობებში იმყოფებოდა მოვალე“. აქედან სჩანს, რომ იმ სესხისათვის, რომელიც 5 ტალერს აღემატებოდა, წესდება განსაზღვრულ დროს არ აწესებდა. ეს დამოკიდებული იყო დირექტორიისაგან და მეორე მხრივ მოვალესაგან. წვრილი ვალისათვის კი, რომელიც 5 ტალერამდე იქნებოდა, დრო განსაზღვრული იყო 30 კვირით.

მიუხედავად იმისა, რომ ფერეინი ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ გაცემული სესხი ნაყოფიერად ეწარმოებინა და დანიშნულ ვადაზე დაბრუნებულიყო ვალი, თავისუფალი მწარმოებელი სხვა და სხვა მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო,—მაგალითად, ავადმყოფობის, სიკვდილის, გადაწვის და სხვა,—დანიშნულ დროზე ველარ ახერხებდა ვალის გადახდას. თუ მოვალე დროზე ველარ ახერხებდა ვალის გადახდას. თუ მოვალეს დროზე არ შეეძლო სესხის დაბრუნება და მომავალში კი შესძლებდა ამას, მაშინ მას აცლიდნენ. იმ შემთხვევაში კი, რომ თუ მოვალეს შემდეგშიაც არ შეეძლო ვალის გადახდა, მაშინ რასაკვირველია, ფერეინი ზარალობდა და ამ ზარალს იგი სათადარიგო თანხიდან ფარავდა. იმ საჭირო თანხას, რომლიდანაც ფერეინები სესხს აძლევდნენ წევრებს, გარეშე პირებისაგან შოულობდენ,—ეს თანხა იყო სხვისა, მაშასადამე სესხის დაკარგვა სხვის ფულის დაკარგვა იყო. ცხადია, რომ ფერეინებს უნდა ჰქონოდათ წყარო ამ ზარალის დასაფარავად, უამისოდ ისინი ველარ შესძლებდნენ ვალის გადახდას. აი ამ მიზნით არსებობდა სათადარიგო თანხა.

რა წყაროებიდან ადგენდნენ სათადარიგო თანხას?

როდესაც რომელიმე წევრი ფერეინიდან სესხს იღებდა, ფერეინი მუდამ არ იქნებოდა დარწმუნებული, რომ სესხი უკანვე დაბრუნდებოდა, აი ამიტომ მოვალეს სესხის აღების დროს უნდა შეეტანა სესხის დამზღვევი ჯილდო (страховая премія). აი ეს ფული მიდიოდა ფერეინის სათადარიგო თანხაში. გარდა ამისა ამავე თანხაში შედიოდა საწევრო გადასახადი და სხვა.

რა წყარო ჰქონდა მოვალეს, საიდან იხდიდა ის ამ ფულს?

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ მწარმოებელი წარმოების დამთავრების შემდეგ ძირითად დახარჯულ თანხის გარდა იღებდა ეგრედ წოდებულს ზედ-მეტს ღირებულებას. აი სწორედ ამ ზედმეტს ღირებულებიდან იხდიდა იგი როგორც სარგებელს, ისე სათადარიგო თანხის ფულს.

მაშასადამე სათადარიგო თანხა არ იყო მუდამ ერთი და იგივე, ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული. ეს თანხა მუდამ იცვლებოდა, ხან ივსებოდა ახალი შემოსავალით და ხან ზარალის დროს აკლდებოდა. რასაკვირველია ფერეინს ზარალი ყოველთვის არ ექნებოდა და ეს ზარალი არ შეიძლებოდა დაახლოვებით განსაზღვრულიყო, ამიტომ სათადარიგო თანხაც არ შეიძლებოდა განსაზღვრულიყო. სხვა და სხვა ფერეინში სხვა და სხვა რაოდენობა იყო თანხისა; ზოგან 2,3—1,8% სამუშაო თანხისა.

მაშასადამე სათადარიგო თანხაც ნაყოფია მოვალეების მუდმივი და განუწყვეტელი წარმოებისა. რამდენადაც ცვალებადი და მუდმივია ასეთი მოქმედება, იმდენადვე მუდმივი და ცვალებადია სათადარიგო თანხაც.

როგორც შულცე-დელიჩის წესდებიდანა სჩანს, ამხანაგობის საჭირო თანხას შეადგენდა: 1) საწევრო გადასახადი და 2) სათადარიგო თანხა. ეს თანხა შეადგენდა ფერეინის წმინდა საკუთრებას და მაშასადამე უფრო თავისუფალი იყო.

გარდა ამ თანხებისა მათ ჰქონდათ ძირითადი თანხა და საზოგადოებისაგან შესანახად შეტანილი ფული.

შ. გოგებაშვილი.

(დასასრული იქნება)

*) ტალერი ძველებური ვერცხლის ფული გერმანიაში, რომელიც ეხლანდელ მარკას უდრიდა.

...ომელთა რიცხვი ძალიან დიდია და ...ომელნიც ვაჭრობას ისე გაურბიან, ...როგორც ურია ღორის ხორცს*).

...რაც შეეხება მათს გარეგნობას— ...ანთ-საცმელს, არ არის მლად ...არ...ული თუმცა არც მთლად თურ...ულია, ხურავთ ხშირად ყაბალახი ...ა შალვარიც ჩაქურული-ქანური ...ქვსთ; დანარჩენი ევროპიული შემო...ლიათ, ადათ-ჩვეულებებში მრავლი ...ერჩენიათ ქრისტიანულ-ქართული. ...მაგალითად, მრავალცოლიანობა არ ...რის, მეორეს ირთავენ მხოლოდ იმ ...შემთხვევაში, როცა პირველს შვილი ...რ მიეცემა. უშვილობა კი მათთვის ...იდი ცოდვაა და ამ შემთხვევისთვის ...რ ეძრახვისთ ასეთი საქციელი. რო...როც მოგეხსენებათ, თურქები მეტ...აწილად მარტო სიამოვნებისთვის ...რთავენ ცოლს და ისიც რამდენიმეს. ...თურქებისთვის ნათესავებად შორს არ ...იდის: დედ-მამა, ძმები და დები, და...ნარჩენნი ნათესაობით არ ითვლებიან ...ამიტომ ბიძაშვილები ქალი და კაცი ...ერთმანეთს ვერ ნახვენ. ჩვენებში კი ...რამც თუ ბიძაშვილი, ბევრგან „სახ...რის კაცობაც“ კი შეუნახავთ. ბორ...ხაში, მაგალითად, არიან ერთი გვა...რის მოსახლენი: ქერაბაძე—20, მი...ძე—15, მისლაძე 10, დარაბაიძე— ...0, ნავინაძე—60. თავის გვარის კაცს ...ქალს არ მიათხოვებენ*). ოჯახები ...ძალიან დიდებია; რამდენიმე ცოლ...შვილიანი ძმა ერთად ცხოვრობს, ...რაც თურქებში შეუძლებელია. თვით ...ქალების მდგომარეობაზე ვერას ვი...ტყვი, რადგან საშუალება არ არის ...მათის გაცნობისა და იმის მეტს ...ვერას შევამჩნევთ, რასაც საზოგადოდ ...ხჰმადიანებში. შრომით კი შრომო...ბენ, როგორც ოჯახში, ისე ტყესა ...და ყანებში. რასაც მოგახსენებთ ყო...ლივე უცბად ნახული ან გაგონი...ა. დიდხანს რომ ვინმე იცხოვ...ს მათ შორის—მრავალ საყურა...ღებო ცნობებს შეაგროვებს. არის ...მრავალი თქმულებანი, ლექსები და ...ხვა, მაგრამ ჩვენ იმდენი დრო არა ...გვქონდა. თუ კიდევ მოვახერხეთ წა...სვლა, უფრო მეტის ხნით—მაშინ ...შეიძლება უფრო დაწვრილებით ავ...წეროთ.

...უმთავრესი მიზანი ჩვენის მოგზა...ურობისა იყო შემდეგი: გაცნობა ...ქართულ სოფლებისა და გამორკვე...ა, თუ რამდენად შესაძლებელია ქა...რთულ-თურქულ სასწავლებლების ...დაარსება.

...შთაბეჭდილება კარგი მივიღეთ ...წავლა ძალიან ჰსურთ და დიდადაც ...ფასებენ. დედა-ენის სიყვარულიც ...საკმაოდ აქვთ. ნივთიერი მდგომარე...ობაც საიმედოა. ადვილად შეუძლი...ათ კარგი სასწავლებლების შენახვა. ...აუცილებლად საჭიროა მათთვის ...ჯერ დაბალი სასწავლები და შემდეგ ...საშუალო,—სამეურნეო. ყოველივეს ...ერთაური უნდა! ვნახოთ როგორი იქ...ნება ჩვენი მომავალი განმანათლებე...ლი საზოგადოება! გასაკეთებელი ძა...ლიან ბევრია და გარეშე დაბრკო...ლებანიც არც ისე თვალსაჩინოა.

**...ქვე მოგვყავს სოფელთა სახელე...ბი და რიცხვი იქ მცხოვრებ გურჯ...ჩანთა.***)

| | | | |
|---|---|---|---|
| ...ბაბანჯა | 160 | თათარ-ქეი | 30 |
| ...ჯუბულკი | 80 | ბორჩხა | 130 |
| ...მედიე | 60 | უმნიე | 10 |
| ...ჰმუდიე | 60 | ჩერქეზ-ქეი | 20 |
| ...ბაზ-ქეი | 20 | ლუთფიე | 30 |
| ...ერბენდი | 50 | სოფიე | 25 |
| ...მირინ-სულხია | 60 | ბაშქირე | 30 |
| ...მესულიე | 80 | ახმედიე | 40 |
| ...თათარ-ქეი | 40 | ჩატალტაში | 20 |
| ...ალაბა | 30 | ალაჩანი | 40 |
| ...ეფნე | 100 | ბალკაია | 34 |
| ...ულინ-კუნდუ | 40 | ბიჩქიდერე | 50 |
| ...ყაზანდერე | 30 | გულდიბი | 50 |
| ...ერვეთიე | 50 | დიბეკტაში | 90 |
| ...ოსალირი | 20 | თეზიე | 30 |
| ...ალინ-ლული | 60 | ალმიე | 30 |
| ...ნიჟმილე | 50 | ირშადიე | 50 |
| ...ე | 15 | მემნუნიე | 90 |
| ...ე | 20 | ნაიდიე | 120 |
| ...თიე | 15 | პაშა-ჰამიდიე | 40 |
| ...სუნიე | 50 | სენიე | 50 |
| ...ეილიკი | 50 | სალამიე | 50 |
| ...ურუჯ-ბაი | 30 | ულვიე | 50 |
| ...მემურიე | 30 | ურიჩესმე | 30 |
| ...ფერადიე | 20 | შეჰრეთიე | 45 |
| ...დაშეშე | 60 | მუქრიე | 40 |
| ...სარ-ქეი | 10 | ჰაჯი-მერჯანიე | 60 |

...ულ 2524 კომლია; კომლზე 8 სული ...რო ვიანგარიშოთ გამოვა 8×2524= 20,192 სული მკითხველს რო მეტად არ ეჩვენოს კომლზე 8 სულის ანგარიში, ამიტომ მოვახსენებთ, რომ აქაური ოჯახები ძალიან მრავალრიცხოვანია და წააგავს პატრიარქალურ კერას. უშვილო ოჯახი არ არსებობს, რამდენიც უნდა იყოს ძმა ცოლშვილიანათ უექველად ერთად სცხოვრობენ და სასტიკად ემორჩილებიან ერთმანეთს ხნოვანების მიხედვით: შვილი მამას, უნცროსი ძმა უფროსს და ასე. აი, ამ გარემოებათა მიხედვით ჩვენი ანგარიში საშუალოზე მეტი არასგზით არ არის.

**დავით ჩიქოვანი.**

*) კონსტანტინეპოლის ქართველობა (იგულისხმება მაჰმადიანები) სამსახურის ხალხია; განსაკუთრებით; სამხედრო, საპოლიციო, საადმინისტრაციო და სხვა. განათლებას კი საკმაოდ ჰსდევენ და მათ წრიდან მრავალი განათლებული ქართველი მოღვაწეობს ოსმალეთის საქვეყნო-დღეობად.

*) თურქებში გვარი არ არსებობს, იციან მხოლოდ სახელი და მამის სახელი, რომელთაც დაუმატებენ სხვა და სხვა ხარისხის გამომხატველ ...ტყვებს.

*) რადგანაც ამ კვირისათვის ვერ მოვასწარით დამზადება, მომავალ კვირას დ მაებაში მოვათავსებთ ოსმალეთის ქართველთა სოფლების რუქას რომელიც პატივცემულმა ჩიქოვანმა მოგვაწოდა. **რედ.**

# მოწოდება

**„დორპატის ქართულ სალიტერატურო წრისა“.**

ქ. იურიევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოსთან დაარსდა, ეგრედ წოდებული, **„ქართული სალიტერატურო წრე“**, რომლის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ისტორია, ქართული ხელოვნება და განსაკუთრებით სიტყვა-კაზმული მწერლობა. ამას გარდა წრემ მიზნად დაისახა გამართოს რეფერატები, მოხსენებები, ლექციები და საიუბილეო საღამოები, წრეს ბლომადა ჰყავს წევრები, რომლებიც გულიანად ეკიდებიან ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს. გარდა მოხსენება-რეფერატებისა წრემ უკანასკნელ სემესტრში გამართა სათვისტომოს სადგომში ორი საიუბილეო საღამო: პირველი-სახელოვან დედოფლის თამარისა და მეორეც-მგოსან ვახტანგ ორბელიანისა; დაწვრილებით ამ საღამოების ანგარიში უკვე მოთავსებული გვქონდა „სახალხო გაზეთში“.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ რაც ისე ადვილია წრემ რომ პირნათლად შეასრულოს თავისი მიზანი, საჭიროებს ქართველ საზოგადოების თანაგრძნობას და დახმარებას. ამიტომ მვმართავთ ყველას, ვისაც გული შესტკივა ამ საზოგადო საქმისათვის, აღმოუჩინოს წრეს დახმარება, რითაც კი მოსახერხებელი იქნება ეს მათთვის.

ყოველგვარი შემოწირულება უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით; Юрьевъ Лифляндія, Лавочная 9. Помѣщ. „Грузинскаго землячества“— „ქართულ სალიტერატურო წრისათვის“.

პატივისცემით „სალიტერ. წრის“ თავმჯდომარე **აკაკი პაპავა.**

# პასუხი ბ.ბ. ან: ბებურიშვილს და სერგეი ჯაფარიძეს*)

წარსულ აპრილს, „სახალხო გაზეთის“ მე-584 ნომერში მოთავსებული იყო ჩემი წერილი: „მიწის სათხი გურიაში“... ამავე გაზეთის 6 მაისის ნომერში ბ.ბ. ა. ბებურიშვილს და ს. ჯაფარიძეს, რომელთაც ჩვენ წერილში, როგორც ვექილებს, აკვარით ეხებოდით, საპასუხო წერილები მოუთავსებიათ. საგულისხმოა, რომ ჩვენს წერილს პატივცემული ვექილები არსებითად ეთანხმებიან და მოლოდ მცირე განმარტებას უკეთებენ, რაც იმათ სასარგებლოდ თითქოს არაფერს ამბობს.

ჩვენ ვწერდით: „როცა ზემოხსენებულ სოფელთა (32 კომლი) რამდენიმე ნაჯერ მიწის ბედი სწყდებოდა, ბებურიშვილი საქმის გარჩევას არ დასწრება საქმე სხვას მიანდო“—შემოეთვლა.

ბ-ნი ბებურიშვილი კი მოგვითხრობს: „7 იანვარს, როდესაც საქმე ირჩეოდა, ალატაში ჩემს მაგივრად, გლეხთა წარმომადგენლების თანხმობით დაანადასწრებით მცველად გამოვიდა გამიჯვნის საქმეების კარგი მცოდნე ნაფიცი ვექილ მ. პ. სარაჯიშვილ და სხვა.“—გაკადნიერდებით და მოვახსენებთ ბ-ნ ბებურიშვილს: როცა სოფლელებმა ვექილის დაქირავება გადასწყვიტეს, რწმუნებულებმა პირით თქვენ მოელაპარაკათ, ქალადაც თითეული სოფელი თქვენ გცნობდათ და არა სარაჯიშვილს, რომლის ვინაობა დღესაც ჩვენში არავინ იცის. არც ჩვენ ვფიქრობდით, თუ თქვენგან საქმის „აღებ შუაკაცოს“ არ გასცილდებოდა. ისათვის სრული უფლება გვქონდა ვთქვა: ბ-ნ ბებურიშვილმა საქმე სხვას მიანდოვო!..

„ამ საქმეში ჩვენ ვიღეთ 100 მანეთი და არა 500—როგორც ამბობს მოკეთე“—სწერთ თქვენ. დაშვიდებული ბრძანდებოდეთ-ნო ბებურიშვილო.—ჩვენ სრულებით არ გვითქვამს, თითქო ჩვენ სოფლელებისაგან 500 მანეთ მიეღოთ. ჩვენ ვსწერდით, ბებურიშვილი 500 მანეთად მოურიგდა სოფლელებსაო. როგორც ჰხედავთ, განსხვავება დიდია: ხუთასს მანეთს თქვენ მიიღებდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმეს ბოლომდის დაიცავდით. თქვენ ის საქმე დაწყებისათანავე მიატოვეთ, 7 იანვრის შემდეგ სოფლელთა დამცველი აღარ ბრძანდებით და აბა 100 მანეთზე მეტი რად უნდა აგეღოთ. თუ თქვენ საქმის ბოლომდის დაცვაში 100 მანეთზე მეტი არ მოგითხოვიად, რად ატყობინებდით დეკემბრის მიწურულში სოფლელებს დეპეშით: საქმე ირჩევა და ორასი მანეთია საჭირო. ეს დეპეშა ჩვენის თვალით ვნახეთ და ვფიქრობთ, ამაზე უარს თქვენც ვერ იტყვით.

ბ-ნ სერგია ჯაფარიძეს ჩვენი შენიშვნა, თითქო ის პალატაში გლეხების მოპირდაპირედ გამოდიოდეს, უსამართლოდ მიაჩნია. ჩვენ კი ვფიქრობთ, თვით ბ-ნ ჯაფარიძისაგან დასტამბული განმარტება არაა სიმართლეზე აგებული. თუ დაუჯერებთ, ის (ჯაფარიძე) გამოდის მხოლოდ მ. ნაკაშიძის მხრივ და ისიც იმ პირობით, რომ დაიცვას იმისი ინტერესები მხოლოდ იმ დავაში, რომელიც მას (ნაკაშიძეს) ატეხილი აქვს ხაზინასთან და მოპირდაპირე ნაკაშიძეებთან. და რომელიც **სრულებით არ ეხება გლეხებს.** (ხაზი ჩვენია) ბ-ნ ჯაფარიძეს განძრახ წაუყრუებია, თორემ არ შეიძლება არ იცოდეს, რომ თავ. მ. ნაკაშიძე ყველა ნაკაშიძეების ვექილობით მოქმედებს და არა განცალკევებულად. 1905 წ., როცა თავ. ნაკაშიძეებმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება განასაჩივრეს, რწმუნებულად თავ. მ. ნაკაშიძე ჰყავდათ და რამდენადაც ვიცით დღესაც მათი რწმუნებული მ. ნაკაშიძე ბრძანდება. მაშასადამე, მ. ნაკაშიძის ინტერესების დაცვა ამავე დროს ყველა ნაკაშიძეების ინტერესების დაცვასაც ნიშნავს ბ-ნო ჯაფარიძევ!.. სინამდვილე რომ გალაპარაკებდეთ, ეს თქვენ სხვაზე ნაკლებ არ უნდა გცოდნოდათ.

ბ-ნ ჯაფარიძეს ყურადღების ღირსადაც არ მიაჩნია ის დავა, რომელიც სოფლელებისა და ნაკაშიძეების შორის არის ატეხილი. იმისი გულისყური ხაზინა-ნაკაშიძეების დავის გარშემო ტრიალებს—მაგრამ სინამდვილის სავსებით მიჩქმალვას ვერ ახერხებს და სხვათა შორის ამბობს: „—არის ისეთი მიზეზიც, ცალკე პატარა ნაჭრები, რომლებზედაც ედავებიან გლეხებს ზოგს ხაზინა და ზოგს ნაკაშიძეები.“—დიახ, ბ-ნო ჯაფარიძევ, სწორედ ამ „პატარა“ ნაჭრებზე მოგახსენებდით ჩვენს წერილში. მიქელ-გაბრიელისა და ხვარბეთის საზოგადოებების ის ნაწილი, რომელიც სოფლებს უჭირავს, სულ ასეთი „პატარა“ ნაჭრებისაგან შესდგება. ამ „პატარა“ ნაჭრებს აქაური სოფლელი საუკუნოების განმავლობაში ოფლით რწყავდა, სისხლიც ბევრჯერ დაუღვრია აქ და სწორედ ამიტომაა, რომ თითოეული სოფლელი საქმის გადაწყვეტას გულის ფანცქალით ელოდება. საქმე სოფლელების მხრივ არც ისე სანუგეშო მდგომარეობაშია, როგორც თქვენ გვიხატავთ. ის 16 საქმე, რომელიც თქვენი მონაწილეობით გარჩეულა, და რომელიც სოფლელებს მოუგიათ, მაინც-დამაინც იმედებს ვერ გვიღვიძებს:—ბევრმა სოფლელმა დაჰკარგა მიწა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით. პალატაშიაც სამიწის-ბარო და სხვა მიწების საქმის გარჩევა 18 მაისიდან იწყება.—შესაძლოა ბევრ სოფლელს მიწა ხელიდან გამოეცალოს. ამასთან ერთი უნდა მოგახსენოთ: თქვენს წერილში არევ-დარევა აღმოვაჩინეთ. ერთს ადგილას ამბობთ—რომ იცავთ მხოლოდ იმ საქმეს, რომელიც **სრულებით არ ეხება გლეხებს.**—ქვევით კი სწერთ, თითქო თქვენის მონაწილეობით 16 საქმე უკვე გარჩეულიყოს.. ნუ თუ ეს 16 საქმე გლეხებს არ ეხებოდა, ბ-ნო ჯაფარიძევ?... დარწმუნებული ვართ თქვენ, როგორც ნაკაშიძეების დამცველი, გლეხების სასარგებლოდ ვერც ამდენხანს იტყოდით რასმეს და ვერც შემდეგ იტყვით და ამიტომ ის შენიშვნა, რომელიც ჩვენს წერილში იყო, სამართლიანად მიგვაჩნია.

**მოკეთე.**

*) ამ საგანზე კამათსა ვსპობთ **რედ.**

# დრამა უნგრეთის პარლამენტში

**დეპეშები.**

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატაში დიდი აურ-ზაური იდგა. პოლიციამ განდევნა ოპოზიციის ოცდა ორი დეპუტატი. დეპუტატი პაპი დიდხანს არ დაჰმორჩილებია და ბოლოს ხელით გაიყვანეს პოლიციელებმა.

გრაფმა აპონიმ საერთა შორისო კავშირის ჰუნგრეთელთა ჯგუფის თავმჯდომარეობას თავი დაანება: შეუძლებელია ჩვენთვის ასეთი მდგომარეობა, ოპოზიციის დეპუტატობა და პრეზიდიუმის წევრებთან ურთიერთობასო.

**ბუდაპეშტი.** გაზეთების სიტყვით, დეპუტატს კოვაჩს, ვიდრე განიზრახავდა გრაფ ტისას მოკვლას, იმპერატორის კანცელარიაში თხოვნა შეუტანია. კოვაჩი მეფესა სთხოვდა თურმე ჰუნგრეთის კონსტიტუციის აღდგენას და ცუდ მრჩეველთა მოშორებას.

**ბუდაპეშტი.** ჯარის სამი ბატალიონი გამევებულ დეპუტატებს პარლამენტში შესვლას უშლიდა. ამის გამო, ოპოზიციის დეპუტატებმა დარბაზი მიატოვეს. დარჩნენ მხოლოდ „საპარლამენტო შრომის“ პარტიის წევრნი, მათ გადასწყვიტეს წესდების გადასინჯვა.

ტისამ განაცხადა, თავიდანვე ვებრძოდი და შევებრძოლები ჰუნგრეთის პარლამენტის ანარქისტულ ელემენტებსაო. 1904 წელს იგი დაემარცხებინათ, მაგრამ ეხლა ისევ გამოცოცხლებულაო.

**გაზეთებიდან.**

ჩვენს მკითხველებს დეპეშიდან ეცოდინებათ, რა საშინელი დრამა დატრიალდა უნგრეთის პარლამენტში. დეპუტატმა სამჯერ ესროლა პრეზიდენტს რევოლვერი და მერე თავიც მოიკლა. ამ დრამის შესახებ „რუსკოე სლოვო“ დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის. იმ დღეს ოპოზიციის დეპუტატები ერთად შევიდნენ, მაგრამ სრულიად დაუბრკოლებლად შევიდნენ პარლამენტში. გრაფ ტისას როგორღაც გაეგო, რომ დეპუტატებს თან მოუტანიათ სინემატოგრაფი იმ ალიაქოთის გადასაღებად, რომელსაც მათი ძალით გაყვანა გამოიწვევდა. ამიტომ ტისას გადაუწყვეტია არას გზით არ მიეცა ამის საბუთი. კრების გახსნისთანავე დაიწყო ჩვეულებრივი ამბავი. ოპოზიცია აგრახუნებს, უსტვენს. პოლიციას 22 დეპუტატი გაჰყავს, დანარჩენებიც დემონსტრატიულად გადიან დარბაზიდან. სწორედ ამ დროს ჟურნალისტთა ლოჟაში შეიჭრა დეპუტატი კოვაჩი, რომელიც ოცდაათ სხდომიდან დაითხოვეს. ჟურნალისტებს სცნობიათ კოვაჩის დაუცხრომელი ხასიათი, დაუწყვიათ დამშვიდება, მაგრამ იგი დასხლეტიათ ხელიდან, გამოვარდნილა ლოჟიდან დეპუტატების ადგილებისკენ და ძახილით: „კიდევ მოიპოვება ერთი პატიოსანი დეპუტატიო“ სამჯერ უსროლია რევოლვერი ტისასთვის; არც ერთი არ მოხვედრია პალატის თავმჯდომარეს და არც სხვა ვინმე დაუშავებია.

გრ. ტისა წამოვარდნილა და ხელი უტაცნია სავარძლისათვის. ამ დროს კოვაჩს ამოუძვრია რევოლვერი და, სანამ მიეშველებოდნენ, შიგ საფეთქელში დაუხლია თავისთვის და იმ წამსვე მოწყვეტილი დაცემულა. პალატის უმრავლესობის დეპუტატები მისცვივნიან მას და წაქცეულისათვის დაუწყიათ ცემა და ფეხით თელვა, ორს რევოლვერიც კი უსროლია მისთვის.

ჟურნალისტების ლოჟიდან დაუძახნიათ:

— თავი დაანებეთ, იგი უკვე მკვდარია. მაშინ გამხეცებული დეპუტატები მისცვივნიან ჟურნალისტებს, დაუწყიათ მათი ლანძღვა და მხილება, რომ იგინიც მსროლელის თანაზიარნი არიან.

ყველა ჟურნალისტი მუჯლუგუნით გაუდევნიათ ლოჟებიდან.

კოვაჩისგან ნასროლი ტყვიები საპრეზიდენტო ტრიბუნას მოჰხვედრია. სროლის დროს ტისას ცოლი გალერეიაზე ყოფილა და ქმარი ხელით ანიშნებდა თურმე, არა დამშავებიაო.

როდესაც ალიაქოთი ოდნავ დაწყნარებულა უმრავლესობის დეპუტატებს დაუწყიათ ყვირილი!

— განაგრძეთ სხდომა!

გრ. ტისას უთქვამს!

— მე მესროლა უბედურმა ადამიანმა, რომელიც თუმცა მიწიერ სასჯელს გაექცა, მაგრამ თვითვე გაისამართლა თავიო.

კოვაჩს ოპერაცია გაუკეთეს, იგი გარდაიცვალა. ტყვია თავის ქალაში გასულიყო და ცხვირის ძვლები ჩაემტვრია.

მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილი ცუდს მდგომარეობაში იყო, ბრალმდებელმა, ჩვენება მაინც ჩამოართვა.

ძლივს გასაგონის ხმით დაჭრილმა სიხარული გამოსთქვა, რომ მისი ტყვიით არავინ დაშავებულა. ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ იგი დაატუსაღეს და გადაიტანეს საავადმყოფოში, სადაც არავის არ უშვებდნენ. სიკვდილის წინ მან დაუბარა ამხანაგებს, რომ ეპატიებინათ მისთვის, თუ მისმა მოქმედებამ პარტიას რაიმე ზიანი მიაყენა, ექიმებმა დაამოწმეს, რომ კოვაჩის დეპუტატებისაგან ცემამ დააჩქარა მისი სიკვდილი, რადგან ტვინში სისხლის ავარდნა გამოიწვიაო.

კოვაჩის გამლახველი დეპუტატები თავს იმით იმართლებენ, რომ არ ვიცოდით, თუ დაჭრილი იყოო.

„ნეიე ვიენერ ჟურნალი“ სწერს, რომ სასახლის სფერებში ეჭვი აქვთ, შესაძლებელია თუ არა იმპერატორმა დაამტკიცოს ასეთი არა ნორმალური წესით მიღებული სამხედრო რეფორმაო.

დააპირეს პარლამენტისაგან მიღებული კანონის უკანვე დაბრუნება, იქნება გამოიძებნოს რაიმე საშუალება მისი კონსტიტუციონური წესით მიღებისათვისაო.

ვენის პარლამენტში დარწმუნებულნი არიან, რომ უნგრეთის ამბები გავლენას იქონიებს იმპერიის სახელზე საგარეო პოლიტიკაშიო.

# სხვა და სხვა ამბავი

ფრანგულ გაზ. „მატენში“ დაბეჭდილია დეპეშა ქრისტიანიიდან (ნორვეგიაშია) რომ ნაცნობებს იქ უნახავთ აზეფი.

დეპეშის სიმართლის გამოსარკვევად შეჰკითხებიან ვლ. ბურცევს, რომელსაც შემდეგი უთქვამს:

— თუმცა მრავალს ამ გვარ ცნობას სკეპტიკურად ვუცქერი, მაგრამ გაზ. „მატენის“ უკანასკნელი ცნობა დასაჯერებლად მიმაჩნია, რადგან იგი სავსებით ეთანხმება იმ ცნობებს, რომლებიც ამ დღეებში მივიღე სარწმუნო წყაროებიდან.

ბურცევს უთქვამს აგრეთვე, სახ. სათათბიროს შეუძლია პროტესტი განაცხადოს სამოსამართლო უწყების თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომლის ძალითაც აზეფი ხელუხლებელ პიროვნებადაა აღიარებული და მოითხოვოს მისი გაცემა, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავისა.

ბურცევს კვლავ განუმეორებია სურვილი აზეფის საქმეში მოწმობისა.

დასრულდა გამოძიება ობოლთა თავშესაფარში სიფილისის შეტანის შესახებ, რომელიც პირველად „რუსკოე სლოვომ“ გამოააშკარავა. სამხედრო-სანიტარულმა კომიტეტმა უყურადღებობაში დამნაშავედ სცნო ექიმი ქალი კოსოროტოვისა და თავშესაფარის ექიმი შაიკევიჩი. კოსოროტოვისა სამსახურიდან დაითხოვეს, ხოლო შაიკევიჩს ორი კვირით დაპატიმრება მიუსაჯეს

# ლენის ამბები

25 მაისს ირკუტსკს მისულა სენ. მანუხინი, რომელსაც სადგურზე დახვედრიან სასამართლოს მოხელენი მთელი შემადგენლობით.

ირკუტსკის გენ.-გუბერნატორი კნიაზევი მადაროებზე წასულა მუშებთან პირის-პირ მოსალაპარაკებლად. საგანგებო საქმეთა გამომძიებელს განცხადებანი გაუკრავს და იწვევს მუშებს აცნობონ მას თვისი მოთხოვნანი, აგრეთვე ცნობანი, რომელნიც ნათელს მოჰფენენ გაფიცვის დაწყებისა და მომხდარი სისხლის ღვრის მიზეზებს.

18 მაისს სამრეწველოებში მისულა მადაროების მთავარი მოურავი ბელოზეროვი და მუშებთან მოლაპარაკების გამართვა დაუწყია.

— მაინც და მაინც ნუ დაიჟინებთ ხელფასის მომატებასო,—უთქვამს მას მუშებისათვის,—მომბაძეთ მე, რომელიც აგერ ათი წელიწადია, რაც ვმსახურობ და მომატება არ მითხოვნიაო.

ასეთ განცხადების შემდეგ მუშებს შეუწყვეტიათ მასთან მოლაპარაკება.

ძლიერ მცირე იმედია, რომ მუშაობა მალე განახლდეს. მუშაობის მსურველი არავინაა. ახალი მუშახელი ძლიერ ცოტაა.

უწინ ნაოსნობის გახსნისათანავე დიდ-ძალი მუშა მოაწყდებოდა ხოლმე მადაროებს, ახლა კი მხოლოდ 300 კაცი მოვიდა.

# ჩინეთის რევოლუცია

**დეპეშები.**

**პეკინი.** პეტერბურგში ელჩად ნამყოფმა ლუჩჟენსუნმა გარეშე საქმეთა მინისტრობა ჩაიბარა.

**შანხაი.** ჩინეთს 1911 წელს უვაჭრნია 2 მილიარდი. მიუხედავად არეულობისა, ვაჭრობას მაინც წარმატება დასტყობია 1910 წელთან შედარებით.

**ხანკოუ.** გუშინ იაპონიის ზედა პალატის 11 წევრი ჩამოვიდა ჩინეთის საქმეთა ვითარების გასაცნობად.

# ოსმალეთ-იტალიის ომი

**დეპეშები**

**სტამბოლი.** ტრიპოლელებს მთავრობისათვის დეპეშა გამოეგზავნათ ვიბრძოლებთ, ვიდრე ერთი იტალიელი მაინც იქნება ჩვენს ქვეყანაში, გულს ნუ გაიტეხთ, ომს თავი არ დაანებოთო. პალატამ უპასუხა, მთავრობა და პარლამენტი თანახმად არიან და ომის განგრძობა ჰსურთო.

**ტრიპოლი.** მზვერავებს იმ ადგილას, სადაც რაინალდის ბრიგადა იდგა, ბევრი გვამი უნახავთ. მზვერავთა რაზმმა ცეცხლი წაუკიდა ოსმალთა ბანაკს. გაუფუჭებიათ აგრეთვე ოსმალთა ტელეგრაფი. დატყვევებულნი იუწყებიან, ზანზურის ბრძოლაში გაწრთვნილის ჯარის გარდა, მევალნი იღებდნენ მონაწილეობასაო.

**სალონიკი.** ყველა გაძევებული იტალიელი წავიდა.

# სპარსეთის ამბები

**დეპეშები.**

30 მაისი.

**თეირანი.** ტყუილია, ვითომც პრემიერ-მინისტრს თავი დაენებებინოს სამსახურისათვის. შეიძლება გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი. წუხელის რეგენტს სწვევიან რუსეთისა და ინგლისის ელჩები.

დღეს რეგენტი უცხოეთს გაემგზავრა.

სახელმწიფოს ხაზინადრად დაამტკიცეს მორნარი.

**თავრიზი.** გენერალ-გუბერნატორის სახლში მაჰმადიანთა უმაღლეს სამღვდელოებასა და მუშტეიდებს კრება ჰქონდათ. კრებამ დაადგინა, ხალხს მიჰმართოს მოწოდებით: ნუ დაარღვევ მამა-პაპათა ადათ-ჩვეულებას, წესიერებას, რაიც ასე ძალიან შეურყევია უკანასკნელ წელთა არეულობასა და რევოლუციასაო.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

30 მაისი.

**სიბერის საკითხი.**

**პარიზი.** სამეცნიერო აკადემიაში მეჩნიკოვს მოხსენება წაუკითხავს ორგანიზმის იმ შხამის თაობაზე, რასაც თვით ნაწლევები ჰქმნის. ეს საკითხი დაკავშირებულია მოხუცებულობის საკითხთან, რომლის გამოც მუშაობს მეჩნიკოვი.

**გაფიცვები.**

**გავრი.** გაფიცვა თანდათან ვრცელდება. უკვე 1500 კაცი გაფიცულა. ატლანტიის ოკეანეს იქით მიმავალ გემებს მეზღვაურები აკლიათ. გაფიცვას მიმხრობიან საბუქსირო და სანავთსადგურო გემთა მეზღვაურნი.

**ლონდონი.** გემთა პატრონებმა უარჰყვეს მთავრობის წინადადება. მუშათა საეროვნო აღმასრულებელმა კომიტეტმა დეპეშით საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. მანჩესტერის ნავთსადგურის მუშები უკვე მიმხრობიან გაფიცულებს.

მუშათა ბელადს ნიუკესტლ მილლერს იმედი არა აქვს გაფიცვის მოხერხებისა: მუშებს არ დაჰკითხებიანო, ჩრდილოეთ — აღმოსავლეთში მრეწველებთან ბრძოლა არ არსებობს, მიზეზი არა აქვთ-რა გასაფიცავადაო.

**ვენა.** ყველა პარტიათა სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ბარონმა ჰეინოლდმა მთავრობის სახელით განცხადება წაიკითხა. მონარქიის სიკეთე მოითხოვს სამხედრო რეფორმის სწრაფად განხილვა-მიღებას. რადგან მისი გაყვანა ჰუნგრეთში უზრუნველყოფილია, ჯერი ავსტრიაზე მიმდგარა. რაც უნდა მოხდეს, რეფორმა უექველად უნდა გავიყვანოთო.

პარტიათა უმრავლესობა შინაგან საქმეთა მინისტრს დასთანხმებია.

რუსებმა პროტესტი განაცხადეს, რა დროს სამხედრო რეფორმა არის, ხარჯთ-აღრიცხვის მეთორმეტედიც

არ განგვიხილვსო, ბარონმა ჰეინოლდმა უპასუხა, მთავრობა როცა არაჩვეულებრივ ღონისძიებებს მიჰმართავს, მაშასადამე არაჩვეულებრივი გარემოებაც არისო.

**ინგლისის ვითარება.**

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში კონსერვატორმა ბერგოინმა იკითხა, მალტაში გამართულ თათბირის შემდეგ ფლოტის საქმეში ცვლილებას შეიტანთ რასმე, თუ არაო.

ჩერჩილს არ უპასუხნია.

ლორბერნი ნამდვილად დაუთხოვნიათ ლორდ-კანცლერობიდან. მაგივრად დაუნიშნავთ ჰოლდენი, რომელიც უკვე შესდგომია თანამდებობის ასრულებას.

**ოსმალეთის პარლამენტი.**

**სტამბოლი.** მთელი პალატა წინაალმდეგი აღმოჩნდა მთავრობის შეტანილ კანონ-პროექტისა, რომელიც ნებას აძლევს მთავრობას, როდესაც ჰსურს მაშინ დაითხოვოს პარლამენტი.

პირველ განხილვის დროს ცხარე პროტესტები გაისმოდა: კანონ-პროექტი უკან წაიღოს მთავრობამაო.

დეპუტატმა-ქრისტიანებმა პროტესტი განაცხადეს, ქრისტიანები, 29 წლისაზე უფროსებსა და იმათ, ვისაც არ უმსახურნიათ, ნუ გაგყავთ ჯარშიო. დეპუტატების აზრით მხოლოდ ის ქრისტიანები უნდა გაიწვიონ, ვისაც ჯარში უმსახურნია.

**ალბანელთა საქმე.**

**სალონიკი.** ოსმალეთ-ბულგარეთის საზღვარზე, პალანკთან, დიდი ბრძოლა მომხდარა.

ალბანეთში პროკლამაცია გამოუციათ, ყველა აჯანყებულთ ვაპატიებთ დანაშაულს, გარდა მოქადაგეებისაო.

ფასილი იპეკზე თავდასასხმელად გეგმას ამზადებს თურმე.

**გაფიცვა.**

**ლონდონი.** სოუგემპტონში 2 ათასი მუშა გაფიცულა. ამდენივე გაფიცულა პლიმუტში. ბრისტოლსა, ევონმოუსსა და პორტიშედში ლონდონის მუშებისადმი თანაგრძნობის ნიშნად, მუშები გაფიცულან. ბევრი გემი ვერ გასულა აქის გამო ზღვაზე:

გაფიცვის გამო სამინისტროს თათბირი აქვს.

**რ უ ს ე თ ი.**

**გაზეთების დაჭერა და დაჯარიმება.**

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთი „ნევსკაია ზვეზდა". რედაქტორი სამართალში მისცეს 129 მუხლის ძალით.

ქალაქის უფროსმა გაზეთს „გროზას" 500 მანეთი ჯარიმად დაადვა.

**პეტერბურგი.** ქალაქის უფროსმა 200 მანეთით დააჯარიმა ჟურნალ „სვეტ ისტინის" რედაქტორი ყოვლად სამღვდელო ნიკონისადმი ღია ბარათის დაბეჭდვისათვის.

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** სამშაბთს, 29 მაისს, ქართული სცენის მოყვარეებმა ბბ. ანაშვილმა და ინაშვილმა სცენის მოყვარეთა დახმარებით დასდგეს „ქრისტინე".

ქრისტინეს როლი საუცხოოდ შეასრულა ქ-მა ა. ქიქოძემ. თითქმის უნაკლულოდ დაასურათა. მისმა მგრძნობიერმა თამაშმა საზოგადოება ააცრემლა და ააქვითინა; განსაკუთრებით კარგი იყო იგი უკანასკნელ მოქმედებაში. საერთო ტაშის-ცემას დასასრული აღარა ჰქონდა.

ჩვეულებრივ კარგები იყვნენ ე. ჩერქეზიშვილი მარიკას როლში და ნ. გოცირიძე მედუქნის როლში. კარგი იყო აგრეთვე ა. წუწუნავაც დათიას როლში; დანარჩენები ხელს უწყობდნენ მათ.

სცენის ხელოვნურ მოწყობილობას მთელი თავისი წვრილმანებით ნიჭიერი რეჟისორის გამოცდილი ხელი ეტყობოდა.

აღსანიშნავია ის, რომ წარმოდგენის დროს საზოგადოება წესიერად არ იქცეოდა; კარების ჯახა-ჯუხისაგან და ხმაურობა-ყვირილისაგან ყურთა-სმენა აღარ იყო.

წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო.

ი. ი—ი.

# პასუხი მღვდელს ვას. ხახიშვილს

„სახალხო გაზეთის" ამ წლის 601 №-ში მოთავსებულია წერილი მღ. ვას. ხახიშვილისა, რომელიც სცდილობს ამ წერილში დაარწმუნოს რედაქცია და მკითხველი საზოგადოება, რომ ის, ხახიშვილის, პიროვნება უსამართლოდ შეეხნენ და ჭეშმარიტებას გადაუხვიეს ს. წაღვერიდან მოწერილ კორესპონდენციებში ბ. ბ. „სიმართლე"-მ და „სოჩბელ"-მა.

მე აღვნიშნე ჩემს კორესპონდენციაში, რომ: 1), მამა ხახიშვილმა მიითვისა, თავის საკუთრებად მიიჩნია საკრებულო სახლი, აშენებული სოფ. წაღვერში მრევლის მიერ. 2) ის, რომ მამა ხახიშვილმა დაჰკეტა სკოლა, რომელიც არსებობდა ს. წაღვერში მის დროს.

ეს ორი უმთავრესი ფაქტი მგონი საკმარისად დავასაბუთე ჩემს კორესპონდენციაში, მაგრამ მამა ხახიშვილი მაინც ჭეშმარიტების გადახვევას მიკიჟინებს.

ავალაპარაკოთ ოფიციალური დოკუმენტები ამ საქმის შესახებ.

„... ბრძანება ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორისა 10 სექტებ. 1911 წ. № 1414. „... ამგვარად მას (ხახიშვილს) ედება სულ 410 მან. **მისი განცხადებიდან კი სჩანს**, რომ მას წაღვერის საკრებულოს სახლის ასაგებად დაუხარჯავს 440 მან. ესე იგი, მას ზედმეტად დაუხარჯავს 30 მანათი, რის გამოც მის მიერ წაღვერში აგებული სახლი მის (ხახიშვილის) საკუთრებად ვერ ჩაითვლება, მით უმეტეს, რომ ადგილი დაუთმია ბორჯომის მამულების მოურავს კრებულისათვის სახლის ასაგებად, რისთვისაც უფასოდვე დაუთმია მას, მოურავს, ხე-ტყეც; თვითონ მრევლმაც ჩაუყარა საძირკველი კრებულის სახლს, როდესაც შეისყიდა ძველი სახლი 70 მანეთად; ამის გამო მასხახიშვილს, უფლება არა ჰქონდა საიჯარო ფული თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, რადგანაც ეს ფული სახლის საჭიროებას უნდა მოჰხმარებოდა... ქართლ-კახეთის-იმერ. სასინოდო კანტორამ დაადგინა: სადღერში ნამღვდელარ ხახიშვილის მიერ სოფ. წაღვერში აშენებული სახლი, ითვლებოდეს სახლად კრებულისათვის".

სად და როდის დახარჯეთ მამაო ვასილ, ის „აუარებელი" ფული, რომელზედაც უთითებთ საზოგადოებას თქვენს წერილში? თუ სამ თუმანზე მეტი დაგიხარჯავთ ამ სახლზე რატომ არ წარუდგინეთ გამომძიებელს ამის საბუთები!

დიახ, თქვენ, მამაო ვასილ, მიითვისეთ, წაართვით მრევლს საკრებულო სახლი სამ თუმანში და ტფილისში გამგზავრებისას კი მოსთხოვეთ მრევლს როგორც თქვენს წერილში ბრძანებთ, ას თუმანზე მეტი, მაგრამ დახე თქვენ „გულ-კეთილობას" და მრევლისადმი „მოძღვრულს" სიყვარულს, დასთანხმდით ას თუმანზე! ამ ფულს ჩაიპარებდით კიდევაც, რომ არ გამოჩენილიყო, თქვენდა სამწუხაროდ, ის ვიღაც „აბლაკატი" და არ დაეშალა ხალხისათვის ამ ფულის გაწერა. სამი წელიწადი გაგრძელდა საჩივარი ამ სახლის შესახებ და 300 მანეთზე მეტი დაუჯდა ხალხს ეს დავა. გარდა ამისა მრევლი იძულებული გახდა სხვა საკრებულო სახლი აეშენებინა ს. წაღვერში, სადაც დახარჯა 500 მანეთზე მეტი. თქვენ კი, მამაო ვასილ, არხეინად მობრძანდებოდით ყოველ წელს წაღვერში, აქირავებდით ამ სახლს და არხეინადვე იდებდით აღებულ ქირას ჯიბეში. ამ სამი წლის ქირა სულ რომ ცოტა ვსთქვა 450 მან. უდრის და ეს ამოდენა ფული თქვენ საკუთრებად აღიარეთ- მრევლს კი ამავე დროს 800 მანეთი ზარალი მიაყენეთ!

თქვენ, მამაო ვასილ, არ დაემორჩილეთ ზემოდ მოყვანილს სას. კანტორის გადაწყვეტილებას და განასაჩივრეთ საქმე, მაგრამ თქვენდა სამწუხაროდ, სასინოდო კანტორამ მეორე გადაწყვეტილებით კვლავ დაადასტურა პირველი თვისი გადაწყვეტილება: „ქართ.-კახ.-იმერ. სასინოდო კანტორამ 1912 წ. 15 მარტს, № 488, დაადგინა: „ისევ წინანდელ აზრზე ვდგევართ, რომ მღვ. ვ. ხახიშვილის მიერ სოფ. წაღვერში აგებული **სახლი არ წარმოადგენს მისს, ხახიშვილის, საკუთრებას, არამედ არის სახლი კრებულისათვის**". დიახ, დიდი გამბედაობაა საჭირო, რომ მოძღვარმა ასე დაურიდებლად მიითვისოს საზოგადო კუთვნილება! მაგრამ მამა ვასილს ამ გამბედაობასთან, როგორც ქვევით დავინახავთ, დიპლომატიური ნიჭი და აბლაკატური გამოცდილებაც ჰქონია.

1. ერთი მიბრძანეთ, მამაო ვასილ, თქვენ რომ მართლმადიდებელ აღმადგინებელ საზოგადოებისაგან მიიღეთ 1905 წ. 340 მან. ამ სახლის ასაშენებლად, რატომ არ განუცხადეთ ეს მრევლს მაშინ, რომელმაც ეს მხოლოდ 1909 წ. შეიტყო, ან რატომ არ მოიხსენიეთ ეს ფული თქვენს წერილში?

2. რა უფლებით ან ვისი დავალებით, წარუდგინეთ ბორჯომის მამულის გამგეს იმ ორმოცი ხის ბაჟი, რომელიც ძველმა გამგემ მამულისამ უფასოდ დაუთმო მრევლს? რათ წარუდგინეთ იმავე მამულის გამგეს მოტყუილებით ამ ხეების ჩამოსატანი ფასი, როცა თქვენთვის ეს მრევლს არ დაუვალებია? რა საკვირველია ეს ჩაიდინეთ იმიტომ რომ მრევლისთვის გამოგეცალათ ხელიდან ყოველივე საბუთი ამ სახლის კუთვნილებისა და მით თქვენ უფრო ადვილად მიგეთვისებინათ იგი.

თქვენ ბრძანებთ, მამაო ვასილ, რომ 300 მან. ეკლესიიდან გამოტანილი ამ სახლის ასაშენებლად ისევ ეკლესიას დავუბრუნე სრულიად, როგორც კი ეს მომთხოვა, ხალხმაო. რათა სტყუით მამაო! თქვენ სხვა და სხვა დროს დაუბრუნეთ ეკლესიას მხოლოდ 230 მან. დანარჩენი 70 მან. ეხლაც თქვენზეა.

თქვენ ბრძანებთ სკოლა მე არ დამიკეტიაო. მაშ მოიგონეთ, მამაო ვასილ ბორჯომის ბლაღოჩინის მ. გორგაძის მოწერილობა თქვენ სახელზე; „13 თებ. 1906 წ. № 23, ბორჯომის გარნიზონის უფროსის განკარგულებისა გამო, წინადადებას ვაძლევ თქვენს კურთხევას, დაუყონებლივ გახსნათ თქვენდამი რწმუნებული სამრევლო სკოლა და მეცადინეობა **განაახლოთ.**"

თქვენ არ იყავით, მამაო ვასილ, რომ შარშან ზაფხულს ს. წაღვერში რამდენიმე ინტელიგენტთა წინაშე დაიკვეხეთ კიდეც: **სკოლა დავკეტე, რადგან ჩემი მედავითნე ვერ ასწავლიდა კარგად ბავშვებსაო.** თუ ამაზედ უარს იტყვით, მაშინ იძულებული ვიქნები ვსთხოვო ზემოხსენებულ პირთ გაზეთის საშუალებით დამემოწმონ.

დასასრულ უნდა განვუცხადო პატივცემულ რედაქციას და საზოგადოებას, რომ მე არასოდეს არავითარი პირადი უკმაყოფილება ან მტრობა არა მქონია და არცა მაქვს მამა ვასილ ხახიშვილთან და თუ ამ წერილით მღ. ვ. ხახიშვილის არა საკადრის საქმეს ვამჟღავნებ, ამით, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ ჩემს ზნეობრივ მოვალეობას ვასრულებ საზოგადოების წინაშე.*)

**სიმართლე.**

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ, ტფილისის წმ. მარინეს სამრევლო სკოლის მოწაფეების მხრივ, ბატონ სვიმონ ილარიონის ძე ფორაქიშვილს, რომელმაც მიიღო თავისთავზედ ყოველგვარი ხარჯი 51 სულისა რომელნიც გაემგზავრნენ საექსკურსიოდ 25 მაისს ამ წლის, შიო მღვიმის მონასტრში, სადაც მოწაფეებმა დაჰყვეს მთელი დღე და დაათვალიერეს ყოველ გვარი ღირსშესანიშნავი ადგილები შიო მღვიმის მონასტრისა. აღსანიშნავია რომ ამ დღეს მოწაფეებს რკინის გზამ ვაგონი უსასყიდლოდ დაუთმო.

მასწავლებელი ქალები წმ. მარინის სკოლისა **ბ. ბერიშვილი** და **ნ. დეკანოზიშვილი.**

ბ. რედაქტორო! გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი: მივიღეთ შემოწირულება ს. ციხის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ შემდეგ პირებისაგან: ტ. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისაგან წიგნები ღირებული 10 მან. და გაზ. „სახალხო გაზეთი" და ჟურნალი „განათლება" 1 მარტიდგან; სონა გურგენიძისაგან გაზ. „Биржевыя вѣдомости"; არშაკ მადანოვისაგან—90 კაპ.; აპოლონ ცინცაძისაგან წიგნები, ლევანტი თედორაძისაგან შეკრებილი ქ. ბაქოში 33 მან. 20 კაპ.

შემომწირველთა სია: ლადიკო კეკელიძე და მანსვეტოვისაგან—სამსამი მანეთი; კოსტა აგანეზოვი, სამსონ ცენტერაძე ორ-ორი მან. ლევანტი თედორაძე, სერაპიონ თედორაძე, ილარიონ დოლიძე, მალაქია მაისურაძე, ვასილ სვანიშვილი, ანდრო ჯიქია, გიორგი ხაფთასი, ალექსანდრე ჰინჰარაძე, ბაგრატ გოგინავა და მიხა თვალავაძე—თითო მანეთი: ბიკტორ ჭიჭინაძე, პარმენ წეროძე, სილიბისტრო სულაქველიძე, ამვროს ჩიქოვანი, ნიკო მკერვალიშვილი, გაბრიელ ალავერდოვი, ალექსანდრე საკანდელიძე, მიხა ყანჩაველი, ყიფიანი, გიორგი მდივნიშვილი, ფარნა ლოჩეშვილი, ერმილე მიქელაძე, ვარლამ გაბუნია, ნ. მაჭავარიანი, სიმონია ილიკო, ნოვე ნაცვლიშვილი, ლავრენტი მგელაძე, ნესტორ მეფარიძე—ათ-ათი შაური; პარმენ ჯაფარიძე—ერთი აბაზი; ვალიკო წერეთელი, კოლია მასხარაშვილი, იოსებ სანაია, კალისტრო ჩავლეშვილი, ჰიჭაუა, სილევან პეტრიაშვილი—ორ-ორი აბაზი, სერგო საბანიძე, ამბაკო გვილავა, ექვს-ექვსი შაური.

ყველა ზემოხსენებულ პირებს უღრმეს მადლობას ვსწირავთ.

**სამკითხველოს გამგეობა.**

*) ხაზი ყველგან ჩემია.

**) ამ საგანზე კამათსა ვსპობთ.

**რედაქცია.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.


# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე- კლ. ვაგ, ან მე- , დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ:** ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, სოღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. ხ ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ:** სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში:** საგარაკო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულუფისკენ:** საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ:** სამგზ. და საბარგო მატ. № 78/79, მე- და მე- კლ. ვაგონ., სად. 8 წ. **სახ.** და საბარგ. მატ. № 109|104 I—II კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან:** ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, სოღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-VI კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან:** ჩქარ. მატ. პლაცკ. № 2, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, სოღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან:** საგარაკ. № 76 a*, სოღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სახ. № 9|10 სოღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან:** საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 წ.

**ერევნიდან** საქონ. და სახ. № 80|81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7. ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71)

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## გემების მიმოსვლა

### საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

**საფოსტო № 2.** რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კსენია".

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18, ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

### სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური"

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახანისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედესერიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „კავკაზ ი მერკური" ტელ. 682.

# განცხადებანი

— ლინეიკით მიმოსვლა —

## ტფილისიდან — ღვთაებამდე

(1 მარტყოფის თავზე, მამა ანტონში)

1 თიბათვიდან

**ყოველ შაბათ-კვირა.**

ფასები: ტფილისიდან ღვთაებამდე ხულზე ორი მანათი, ღვთაებიდან ტფილისამდე ხულზე ექვსი აბაზი.

ბილეთები იყიდება: ნიკოლოზის მოედანზე (ჩუღურეთში), ასლანიანცის საკრებულოში, აღოიანცის სახლი № 1. [illegible]

[illegible]

## ყოველ-დღე მოგვდის

## ახალ-ახალი ხიზილა

და (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ.

ბიჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კიბრი, სალიანის თევზეულობა და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—71)

თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

## [illegible] პირველი [illegible] საავადმყოფო

## სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

**დ ი ლ ი თ:**

606 —11—12 ს. შეხაკუნება კონსულტატიურად.

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული. და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. აგვეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

(წ. 1074.60)

## იყიდება ლიმონადის ქარხანა

## „შვეიცარია"

**ნაძალადევში**

მთელი თავის მოწყობილობით, რადგანაც ტფილისიდან გავდივართ. ცნობებისთვის მიმართეთ **ნაძალადევში, აფანასიევის ქ., № 3, კავთიაშვილს.** (25—492—3)

## ქალაქის საუქციონო ზალა.

(ველიამინოვის ქ.) მოძრავ ქონებას მიიღებს **გასასყიდად** და აგრეთვე **შესანახად.** მიღებულ ნივთებში იძლევა ხელის მოსაცვლელად 20%, ხოლო შენა-9—3 ფასად აიღებს 2%-სა. დღისით ხვის საათამდის. (25.421.10)

## ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и [illegible] (100.1231.7)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**სამეურნეო წიგნები:**

| | |
|---|---|
| ამერიკული ვაზით ვენახის გაშენება, ს. ქვარიანის. ფასი | მ. კ. — 5 |
| ახალი საუკეთესო წესი ვენახის გაშენებისა, მისივე. . . . | —10 |
| გონიერი მოვლა-მოშენება შინაურ ფრინველ. ი. როსტომ. | —15 |
| კანონი შესახებ ვენახის ყველა სენთა წინააღმდეგ, გამ. „მოს." | — 15 |
| ვაზის მოვლა-მოშენება და ღვინის დაყენება, ა. დეკანოზიშ. | —15 |
| მეურნ. და ახალი სკოლა ი. როსტ. | — 5 |
| მოკლე დარიგება როგორ უნდა მოვლა და წამლობა ყაქის ჭია, ბ. კარიბეგოვისა . . | —20 |
| მოკლე დარიგება ხილის გამრავლებაზე, არჩ. დარეჯანიშ. | —20 |
| მებაღეობ. პირველდაწყ. ქუთაისში და მისი საქმეები, ნ. წერეთ. | — 5 |
| ნაყოფის ჭია, ქარცივაძისა . | — 5 |
| პურ. ბოსტ. ჩინურ. წეს., როსტ. | — 7 |
| საუნჯე მეურნეობისა, არ. დარ. | — 15 |
| საზოგად. მიწათ-მოქმ., მ. ზაალ. | —20 |
| საზოგ. ზოოტექნია, მ. ზაალიშვ. | —25 |
| რძე და მისი სხვა და სხვა რიგად გამოყ., პროფ. პეტრიაშ. | 1 50 |
| ფუტკარი და მეფუტკრ., აპ. წ. | —80 |
| ფუტკ.-გონიერ. მოვლ.-მოშ. ა. დ. | —10 |
| ტყის გონიერი მოვლა-მოშენება და მოხმარ., ა. სალარიძისა | —15 |
| შინაური საქონელი და მისი მოვლა-მოშენება, ი. როსტომაშ. | — 5 |
| ხეხილ. გამრავლ. და მოვლა, ი. რ. | — 7 |
| ხეხილ. დარგ. და მისი მოვ. ა. დარ. | —20 |
| Сельско хоз. замѣт., Л. М. Эристъ. | —15 |

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.53)

## ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,

ქუთაისში

ყოველთვის გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ქაშანურის (ქაშან) ჭურჭელი, საუცხოვო ბროლისა და მინის საქონელი. ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამპები. საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კასრები და სპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, კეროსინკები და ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, სოხრილი და ინდოეთის ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა, ყოველ-გვარი საუკეთესო შკაფები, ინგლისისა და ვარშავის კრავატები, ლოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები, მაგიდის კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, ყოველ-ნაირი სიმები, პატე-გრამოფონები, გრამოფონები და მათი ფირფიტები, პიანინო-როიალები, სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამპები და მათი მოწყობილებანი. ორთქლ-მრეცხავები [illegible] (წ. 1236.9)

ქუთაისში